საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 27 აგვისტო. 2019 წ. №168 (8834) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სალომე ზურაბიშვილი:

ჩემი პრეზიდენტობის ვადაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს ერთიან სივრცეში დაბრუნება, ჩემი უდიდესი მიზანია!

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებაში, რომლითაც ის რუსეთის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს ეხმიანება.

„მჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ერთიან სახელმწიფო სივრცეში მშვიდობიანად დაბრუნდება. ჩემი უმთავრესი სურვილი და უდიდესი მიზანია, რომ ეს მოხდეს უახლოეს მომავალში, ჩემი პრეზიდენტობის ვადაში, რისთვისაც გამოვიყენებ ყველა გზას და საშუალებას. მე ვიქნები გარანტი იმისა, რომ იმ დროის აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრების, თავისუფალი არჩევანის და სიტყვის თავისუფლების უფლება, მსგავსად საქართველოს ყველა მოქალაქისა, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, როგორიც ეკადრება დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის– საქართველოს მოქალაქეს!“, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო, აფხაზური და ოსური კულტურა, ენა, ზოგადად, იდენტობა, გაქრობის წინაშეა!

დღეს, რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო, აფხაზურ და ოსურ კულტურას, ენას, ზოგადად იდენტობას კიდევ უფრო მძიმე საფრთხე ემუქრება — გაქრობის წინაშეა, — საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუსეთის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს ეხმიანება.

„დღევანდელ დღეს, 11 წლის წინ, რუსეთმა საქართველოს ორი განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებით დაარღვია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

საქართველოს არც ერთი ხელისუფლება, არც მოქმედი, არც მომავალი, სანამ არ აღდგება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დარღვეული მთლიანობა, არ და ვერ შევეგუებით ამას ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, ვინც არ მიიღო ეს ფაქტი, დაგმო და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ურყევი მხარდაჭერა გამოუცხადა.

ჩვენი ერთობლივი ისტორია კი სწორედ იმის დასტურია, რომ ქართველთა გარეშე აფხაზთა და ოსთა ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენა ვერ მოხდება“, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

აგრესიული, დაბოღმილი, არაადეკვატური ქართველობა ჩვენს ქვეყანას სიცოცხლეს უმოკლებს! ⑧

„ვარდების რევოლუცია“ რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა 2008 წლის აგვისტო



დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისე შეეფერება „რუსთავი-2“-ს, ③ როგორც უნაგირი ძროხას!



როდის მიითვისა აიბგის მთა რუსეთმა? ⑨

ჭიათურის მიწის ქვეშ:

გადაღლილობა, როგორც სიკვდილის საფრთხე ④



კახა კალაძე: დავით-გარეჯის საკითხი მალე დარეგულირდება!

დავითგარეჯის **საკითხთან დაკავშირებით ყველა პასუხისმგებელი ორგანო მუშაობს, იმართება შეხვედრები და მოლაპარაკებები,** — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორია, რომელთან ერთადაც საქართველო ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს და დავითგარეჯთან დაკავშირებული საკითხი აუცილებლად მოგვარდება.

15 სახელმწიფო აფხაზეთში გამართულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს არ აღიარებს

15 სახელმწიფო, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ევროპული ქვეყნები აფხაზეთში გამართულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებს.

ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, შვედეთი, ნორვეგია და უკრაინა არ აღიარებენ საქართველოს რეგიონის, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გამართული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობას და არ აღიარებენ მათ შედეგებს.

ანალოგიურად, 15 ქვეყანა არ აღიარებს საქართველოს რეგიონში, ცხინვალში 2019 წლის 9 ივნისს გამართულ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებსა და მის შედეგებს.

„ჩვენ, ვადასტურებთ სრულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისა და სუვერენიტეტისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის გაიყვანოს თავისი ჯარები კონფლიქტამდელ პოზიციებზე და რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი დაშვება უზრუნველყოს, ასევე, უკან გაიხმოს საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება“, — ნათქვამია 15 ქვეყნის ერთობლივ განცხადებაში.

ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს!

ადამიანები **ცხოველებისადმი უხეში მოპყრობის ფაქტებზე ხშირად თბილისის მერიას მიმართავენ, რომ ჩვენ ვიმოქმედოთ. ამის რესურსი არ გვაქვს. მერია არაა ორგანო, რომელმაც დარღვევის შემთხვევაში უნდა იმოქმედოს,**— ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„მივესალმები კანონის აღსრულებას. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ შსს-სა და პარლამენტთან ერთად, რომ ცვლილებები შეგვეტანა საკანონმდებლო დონეზე და გაგვემკაცრებინა ცხოველებისადმი უხეში მოპყრობის შემთხვევები. სამწუხაროა, როცა ასეთი ფაქტები ხდება. მოსახლეობას უნდა მოვუწოდოთ, რომ როცა ასეთი დანაშაული ხდება, მიმართონ შსს-ს. მივესალმები, რომ ამ გამკაცრებულმა კანონმა მუშაობა დაიწყო და ამოქმედდა. რა თქმა უნდა, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ქართული ქარვისფერი ღვინოები კორეაში წარადგინეს

კორეის **რესპუბლიკის ქალაქ დეჯონში ქარვისფერი ღვინოების სპეციალური დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძებაზე საქართველო, ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარემ ანა გოდაბრელიძემ წარადგინა.**

ღონისძიებაზე 12 ქარვისფერი ღვინო, მათ შორის საქართველოდან და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან იყო წარმოდგენილი. ქარვისფერი ღვინოების წარდგენას მსოფლიოში ცნობილი იმპორტიორები და სომელიები, სულ 100-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დეგუსტაციის შემდეგ გაიმართა მსჯელობა, თუ რა პერსპექტივა აქვს კორეის ბაზარზე ქარვისფერ ღვინოებს. აქვე, 12 დეგუსტატორს საპატიო სერტიფიკატები გადაეცა. აღნიშნული დეგუსტაცია დეჯონში გამართული ღვინის კონკურსის „აზია ვაინტროფის“ (AsiaWineTrophy) ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა. ვაზისა და ღვინის მსოფლიო ორგანიზაციის (OVI) პატრონაჟით, „AsiaWineTrophy“ მეშვიდედ გაიმართა და ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინის კონკურსად ითვლება. მასში მსოფლიოს 35 ქვეყნის ოთხი ათასზე მეტი ნიმუში იყო წარმოდგენილი. ჟიურის შემადგენლობაში იყო 127 ღვინის პროფესიონალი მსოფლიოს 26 ქვეყნიდან.

ახალი გზა მუხაესტატემდე

ქობულეთში **სოფელ მუხაესტატეს მიმართულებით ახალი გზა გაიხსნა. აჭარის მთავრობის ინფორმაციით, კეთილმოეწყო, როგორც ცენტრალურ ავტომაგისტრალთან მისასვლელი გზა, ასევე ასფალტბეტონის საფარი, დაიგო სოფლის შიდა უბნებთან დამაკავშირებელ გზაზეც.**

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ქობულეთში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გაეცნო.

წელს აჭარის საგზაო დეპარტამენტის ბიუჯეტიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის დაახლოებით 12,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული. საავტომობილო გზებზე მოეწყობა: 15,7 სიგრძის ასფალტბეტონის საფარი, 24 კმ. სიგრძის ბეტონის საფარი, აშენდება 8 ახალი ხიდი და 45 ხელოვნური ნაგებობა.

რაულ ხაჯიმბა თუ ალხას კვიცინია?!

ოკუპირებულ **აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 8 სექტემბერს გაიმართება.**

პრეზიდენტობისთვის ცხრა კანდიდატი იბრძოდა და მათ შორის მოქმედი პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა 50 პროცენტი. რეგიონში მეორე ტური გაიმართება, სადაც ერთმანეთს ამჟამინდელი ე.წ. ლიდერი რაულ ხაჯიმბა და ოპოზიციონერი ალხას კვიცინია დაუპირისპირდებიან.

2020 წლიდან ორი ახალი უწყება შეიქმნება

სოფლის **მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია, რომელიც საჯარო დისკუსიისთვის რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა, 2020 წლიდან ორი ახალი სტრუქტურის — მმართველობითი ერთეულისა და გადამხდელი სააგენტოს შექმნას ითვალისწინებს.**

კერძოდ, მმართველობითი ერთეულის ძირითადი ფუნქცია იქნება სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია, ასევე მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება.

გადამხდელი სააგენტო კი, უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციების ფარგლებში, უშუალოდ, სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებას.

დოკუმენტის მიხედვით, განახლდება არსებული სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და დებულება.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2012 წლიდან, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული მასშტაბური ინვესტიციების მიუხედავად, საქართველოს სოფლის ტიპის ტერიტორია კვლავ მრავალი გამოწვევების წინაშე დგას. ეს არის სტრუქტურული სისუსტეები, მეწარმეობისა და დამატებული ღირებულების შექმნის დაბალი დონე, შრომატევადი და დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორი, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების დაბალი მაჩვენებელი, რეგიონული უთანასწორობის ზრდა, მოსახლეობის სიღარიბეში ყოფნის მაღალი რისკები, გარემოს არასრულყოფილი დაცვა და სხვა.

◎ წერილი ბოლნისიდან

დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისე შეეფერება „რუსთავი-2“-ს, როგორც უნაგირი ძროხას!

ვინც წიგნებს კითხულობს, ის ადვილად მიხვდება, “უმნიშვნელო გადაკეთებით“ საიდან არის აღებული ეს შედარება.

როგორ შიძლება „რუსთავი-2“ იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი, როდესაც ის არის პარტიული (ნაციონალების) ტელევიზია.

ნაციონალური პარტიის, „მოღვაწეობა“ დღევანდელმა პარლამენტმა განიხილა და რამდენიმე ხმა რომ არ დაჰკლებოდა, ნაცისტები გამოცხადდებოდნენ დამნაშავე პარტიად.მიუხედავად ამისა, „რუსთავი-2“ ხშირად უთმობს ეკრანს ნაციონალების ლიდერს სააკაშვილს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ზოგიერთ საკითხში ცნობილია დამნაშავედ.

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი როცა ამბობს, თქვენს ღვინოში ასე და ისეო, ის გამოხატავს თავის სიძულვილს და მტრობას ქართველი ერის მიმართ. ასეთ გენერალურ დირექტორს დამოუკიდებელი და თავისუფალი „რუსთავი-2“-ის კოლექტივი უნდა გაემიჯნოს და რადგან არ ემიჯნება.... ასეთ ადამიანს ხელისუფლებამაც პასუხი უნდა მოსთხოვოს.

ღირს კი იმის ახსნა, რომ ღვინო ქართველი კაცისათვის არ არის მხოლოდ სასმელი? ღვინომ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართველი კაცის იდენტობა, ჰუმანურობა, სტუმართმოყვარეობა და სხვა.

არანაკლები დანაშაული ჩაიდინა ჟურნალისტმა გაბუნიამ. დავიჯეროთ, ასეთი ადამიანების ხელმძღვანელობით მუშაობა სახელს მატებს „რუსთავი-2“-ის სხვა პროფესიონალ ჟურნალისტებს?

უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს,

გამოხატავს რა ნაციონალების ინტერესს, „რუსთავი-2“ 20 ივნისის შემდეგ კურიერს იწყებდა მხოლოდ იმ კადრების ჩვენებით, რომლებიც გადაღებულია მას შემდეგ, რაც პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები. კადრები, რომლებიც ასახავენ პოლიციელებთან ხელჩართულ ბრძოლას, კურიერი აღარ აჩვენებს.

გუგუტიანთკარის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა რომ „რუსთავი-2“ არის ხაზგასმულად ტენდენციური.

„დღეს დაპირისპირების დრო არ არის, დავდგეთ ერთად და გავერთიანდეთ“. „ხელისუფლებას უნდა დაეყვირა და აეტრიალებინა თავისუფალი სამყარო“. ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ ნაციონალების ლიდერები და მათ გამონათქვამებს დიდი გულმოდგინებით აშუქებდა „რუსთავი-2“.

რამდენჯერ დადგნენ ერთად, რამდენჯერ იყვირეს, მაგრამ „თავისუფალი სამყარო ვერ აატრიალეს“ და სხვა რაიმე შდეგსაც ვერ მიაღწიეს.

ერთად რატომ არ დადგნენ, როცა გავრილოვი თბილისში ჩამოიყვანეს, ხომ იყვნენ პარლამენტარები, რომლებსაც სურდათ, მოესმინათ და თვითონაც დაესვათ შკითხვები გავრილოვისათვის, ის პარლამენტარები ხომ ყველაზე უფრო მეტად დაზარალდნენ რუსეთ-საქართველოს ომით?

როდესაც ომში ხარ ჩართული რუსეთთან და ვერაფერს ვერ უპირისპირებ ბორდერიზაციას, არ უნდა შეცვალო ბრძოლის ტაქტიკა?

ნაციონალები არა მარტო არ შეცვლიან ბრძოლის ტაქტიკას, არამედ ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან მათ, ვისაც სურს რუსებთან დალაპარაკება. ნაციონალები მოქმედებენ თავიანთი ერთ-ერთი იდეოლოგის შეგონებით — „ხელისუფლება გდია ქუჩაში და ვინც აიღებს იმისია“. შესაბამისად, ქუჩის აქციებით, პარლამენტის შტურმით, „ქუჩაში გდებულის“ კვლავ ხელში აღება სურთ და ამ საქმეში მათ ფასდაუდებელ სამსახურს უწევს „რუსთავი-2“.

რადგან „რუსთავი-2“-ში ბევრი პროფესიონალი ჟურნალისტია, დღეს მათი კოლექტიური წასვლა კომპანიიდან ჩვენთვის, არაპოლიტიკოსებისთვის, ძალიან საწყენია, მაგრამ ეს მათი არჩევანია.

ერთიც არის: როცა ქვეყნიდან „თავპირისმტვრევით“ გარბიან ჩვენი მოქალაქენი ლუკმაპურის საშოვნელად, „თავპირისმტვრევით„ უფასურდება ლარი და გაერო ძალიან ტრაგიკულ მომავალს გვიწინასწარმეტყველებს, „რუსთავი-2“-ს არა აქვს მორალური უფლება ტელეკომპანიაში ჰყავდეს 1000 კაცი და მისი გენერალური დირექტორი იღებდეს ხელფასს 100 ათასი ლარის ოდენობით. მათ მიერ გადმოცემულ ინფორმაციას და შოუებს არამც და არამც არ ეწოდება „პროდუქტი“ პროდუქტი, სხვა რამეა, ქართულ ენას არაფერი ეშლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა: დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისე შეეფერება „რუსთავი-2“-ს, როგორც უნაგირი ძროხას!

ნუგზარ კობახიძე,
ბოლნისი

პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი სამუშია გაათავისუფლეს

როგორც საქართველოს პირველ არხს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრობის ცხრათვიანი ვადა ამოიწურა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გიორგი სამუშიას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე (პატიმრობა შეიცვალა 3 ათასი ლარის ოდენობის გირაოთი).

მათივე ინფორმაციით, ელბერტ კობერიძის წამების საქმეზე არსებითი განხილვა გრძელდება.

„აქვე მნიშვნელოვანია ერთი დეტალი, დაზარალებული ელბერტ კობერიძე ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მისი სასამართლოში გამოცხადება და გადაადგილება ვერ ხორციელდება გარკვეული შეზღუდვების გამო, თუმცა ბრალდების მხარე ცდილობს და ყველაფერს გააკეთებს, რათა სასამართლოში წარმოადგინოს ყველა საჭირო მოწმის პოზიცია და მოახდინოს მათი დაკითხვა“, — აცხადებენ პროკურატურაში.

გიორგი სამუშია უკრაინაში 31 მაისს დააკავეს. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ კი უკრაინას გიორგი სამუშიას საქართველოში ექსტრადიციისთვის მიმართა.

ამასთან, გიორგი სამუშია 2015 წელს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, მეგის ქარდავას დავალებით, გიორგი სამუშიამ, სხვა პირებთან ერთად, აიძულა მოქალაქე, ელიარებინა ზუგდიდში ტერორისტული აქტის მოწყობა. გამოძიების ცნობით, ჩაუდენელი დანაშაულის აღიარებაზე უარის თქმის შემდეგ, დაკავებული ავტომანქანით ზუგდიდიდან თბილისში გადაიყვანეს და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში აწამეს. ამავე საქმეზე გიორგი სამუშიასთან ერთად ბრალდებულები არიან დათა ახალაია, გიგი კალანდაძე და რომან შამათავა.

მოგვიანებით, გიორგი სამუშიას აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა გირაოთი შეეცვალა. სასამართლოს მიერ პირადობის მოწმობისა და პასპორტის ჩამორთმევის მიუხედავად, გიორგი სამუშიამ საქართველოდან გასვლა მოახერხა, რის გამოც მასზე ინტერპოლის მეშვეობით წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა.

გიორგი სამუშია ბოლოს ბელგიის ქალაქ ლიეჟში გამოჩნდა, სადაც იგი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე იმყოფებოდა, რის შემდეგაც საქართველოს პირველმა არხმა მის მიერ საქართველოს დატოვების დეტალების შესახებ სიუჟეტებიც მოამზადა.

მამუკა ხაზარაძემ და ჯადრი ჯაფარიძემ შეფარდებული გირაოს თანხა გადაიხადეს

ინფორმაცია საქართველოს პირველ არხს ადვოკატმა, ზვიად კორძაძემ დაუდასტურა.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმა სრულად დაფარეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს თანხა, 700 000 -700 000 ლარი“, — განაცხადა კორძაძემ.

ხაზარაძეს და ჯაფარიძეს ბრალი ოფიციალურად 24 ივლისს წაუყენეს. პროკურატურა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლებს ჯგუფურად, 16 664 000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ედავება, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ბრალდებულებს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად 700 000 ლარის გირაო 26 ივლისს შეუფარდა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა დაეფარათ.

ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე წარსულში ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული მ. ბ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მ.ბ.-მ, თბილისში, დანით დაჭრა საკუთარი ძაღლი და რამდენჯერმე მისი დახრჩობა სცადა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ამ დროისთვის ცხოველი თავშესაფარშია გადაყვანილი და უტარდება შესაბამისი მკურნალობა. გამოძიება ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით.



ჭიათურის მიწის ქვეშ: გაღაღლილობა, როგორც სიკვდილის საფრთხე

არასათანადო კვება, მუშაობა შესვენების გარეშე, კვოტების წნეხი და ზედამხედველთა გულგრილობა იმ ძირითად ფაქტორებს შორის ხვდება, რომლებიც მეშახტეებისა და მაღაროელების სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. Human Rights Watch-ის მიერ 22 აგვისტოს გამოქვეყნებული 60-გვერდიანი ანგარიში **„არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“** სასწრაფოდ შესაცვლელ რეალობას ასახავს.

საქართველოს პროფკავშირების თანახმად, 2018-2019 წლებში დაიღუპა 19 და დაშავდა 16 მაღაროელი და მეშახტე.

Human Rights Watch-ის ახალი ანგარიში ეფუძნება საუბარს 80-ზე მეტ პირთან. მათ შორის არიან მუშები, რომლებიც ტყიბულსა და ჭიათურაში, ქვანახშირისა და მანგანუმის მოპოვებისას ყოველდღიურად დგანან სიკვდილის საფრთხის წინაშე.

ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ნათელია, რომ სამუშაო პირობები პირდაპირ არის დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხთან, მაგრამ ეს კავშირი უგულებელყოფილია საქართველოში.

ანგარიში ყურადღებას ამახვილებს მანგანუმის მადნის მოპოვების ახალ სისტემაზე, რომელიც 2016 წლიდან დაინერგა — **„ახალი სისტემა კიდევ უფრო ამძაფრებს შრომის უსაფრთხოების პრობლემებს“**. ეს სისტემა, ანგარიშის თანახმად, ამჟამად 400-მდე მუშაზე ვრცელდება.

ჭიათურაში „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ახალი სისტემით დასაქმებული მუშები საერთაშორისო სტანდარტებთან სრულიად შეუსაბამო პირობებს აღწერენ:

- **დილისა და ღამის 12-საათიანი სამუშაო ცვლები, ზედიზედ 15 დღის განმავლობაში;**
- **სავალდებულო ყოველკვირეული დასვენების არარსებობა;**
- **აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური სამუშაო;**
- **ოჯახთან სიშორე და ვალდებულება იცხოვრონ დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილ საერთო საცხოვრებელში;**
- **გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა;**
- **დამსაქმებლის მიერ მიწოდებული დაბალი ხარისხის, არასაკმარისად კალორიული საკვები.**

Human Rights Watch-ის შეფასებით, ქვანახშირისა თუ მანგანუმის მოპოვების პროცესში შრომის უსაფრთხოების უგულებელყოფას კვოტების (საწარმოო მიზნების) დაწესებაც იწვევს. ანგარიშში ნათქვამია, რომ კვოტების შეუსრულებლობისთვის ხელფასი იქვითება და ეს **„სტიმულს აძლევს მშრომელებსა და ზედამხედველებს, უგულებელყონ შრომის უსაფრთხოება“.**

„ათასობით ადამიანი კვლავაც იდგება მომეტებული საფრთხის წინაშე, ვიდრე საქართველოში არ დარეგულირდება სამუშაო საათები და არ შეიქმნება ინსპექტირების ისეთი სისტემა, რომელიც სრულყოფილად შეისწავლის სამუშაო პირობების ზემოქმედებას უსაფრთხოებაზე... ეს არ არის აბსტრაქტული რისკები. მუშები ასახელებენ მაგალითებს, როდესაც ისინი უკიდურესი დაღლისა და გამოფიტვის გამო შემთხვევით უნდა დაკარგულიყო. მუშა დაემორჩილა და **გადაურჩნენ უბედურ შემთხვევებს“.**

— განაცხადა კორინა აჟდერმა, Human Rights Watch-ის ანგარიშის ავტორმა და მკვლევარმა.უბედური შემთხვევების გამოწვევა შეუძლია უფროსების გულგრილობასაც.

მეშახტეებმა და მაღაროელებმა Human Rights Watch-ს იმ კონკრეტულ მაგალითებზეც მოუთხრეს, როცა ტრაგიკულ დასასრულს შემთხვევით აირიდებს თავიდან.

შემთხვევა №1

„ისე დავიჭერი, რომ ნეკნები მიჩანდა“, — ამბობს ერთ-ერთი მუშა და იხსენებს მძიმე მუშაობაში მიწისქვეშ ზედიზედ გატარებულ მე-14 ღამეს, როცა მის გვერდით მჯდომ ასევე გადაღლილ მუშას ჩაეძინა და შემთხვევით დააჭირა თითი სამუშაო აპარატის ჩამრთველ ღილაკს.

შემთხვევა №2

ერთ-ერთ მუშას, რომელიც ღამის ცვლაში ზედიზედ 11 დღის განმავლობაში მუშაობდა და სასტიკად გადაღლილი იყო, მძიმე საბურღი აპარატის მართვისას თვალები ავტომატურად დაეხუჭა და თითქმის ჩაეძინა. ამბობს, რომ ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა, სწრაფად რომ არ გამოფხიზლებულიყო.

შემთხვევა №3

ერთ-ერთმა მუშამ შეატყობინა უფროსს, რომ საბურღი აპარატი მწყობრიდან იყო გამოსული, მაგრამ მას არ შეაჩერებინეს მუშაობა, რადგან შეკეთება რამდენიმე საათს მოითხოვდა და, უფროსის თქმით, დრო არ

ჭიათურის მიწისქვეშეთში

ლელა კუნჭულია

ეს ... ეს ...

ეს ... ეს ...

**ეს ... ეს ...

ერთი მამაშვილობის შემზარავი ამბავი

ეს მამა-შვილი მრავალი წლის შემდეგ პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არიან გვერდიგვერდ.

მას შემდეგ, რაც რედაქციის დავალებით ბატონ ქართლოს ზაქარეიშვილს ვესტუმრე, რამდენიმე დღე მოსვენება დავკარგეთ, ნეტავ, ეს კაცი ასეთ პირობებში როგორ ცხოვრობს, ან თავს რითი ირჩენსო — ვფიქრობდით?!

რვა ათეულ წელს დიდი ხნის გადაცილებულ ქართლოს ზაქარეიშვილს ცხოვრების დიდი გზა აქვს გამოვლილი, თავის დროზე მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უმუშავია, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურასა და სახელმწიფო უწყებაში. სამი შვილიც გაუზრდია, რომელთაგან ერთი ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს, ორი კი თბილისში, მათგან უფროსი პაატა — ერთ დროს მთელი დიდი ოჯახის ადგილსამყოფელ ბინაში. ბატონი ქართლოსი კი ამჟამად ერთ ციდა, სატვირთო ლიფტის კაბინაზე პატარა ოთახში სახლობს, რომლის შესასვლელი აბაზანატუალეტია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონ ქ. ზაქარეიშვილთან ჩვენი სტუმრობის მიზეზი რედაქციისთვის გამოგზავნილი წერილი გახლდათ, სადაც საკუთარი გაჭირვებისა და, რაც მთავარია, იმ შვილების უმადურობის ამბავს გვიამბობდა, რომლებზეც მთელი ცხოვრება ზედგადაყოლილი იყო. ასეთი ამბები ადრეც მრავლად გვსმენია, ახლაც ხდება და, სამწუხაროდ, მომავალშიც, ალბათ, არაერთხელ მოხდება, მაგრამ ქართლოს ზაქარეიშვილის შემთხვევა მაინც გამორჩეულია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ მისი უფროსი ვაჟიშვილი პაატა ზაქარეიშვილი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა, რომელიც თავის დროზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ასევე თბილისის საკრებულოსა და პარლამენტის წევრი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს, რომელიც წლების მანძილზე გარკვეულწილად საქართველოში შემრიგებლობისა და ერთმანეთისთვის ცოდვების მიმტევებელი ნომერ პირველი კაცი იყო, წლების მანძილზე საკუთარ გამზრდელ მამასთან ურთიერთობა ჰქონდა (და აქვს!) გაწყვეტილი...

წინამდებარე მასალის მიზანი სულაც არ არის ვინმეს გაქილიკება, მით უმეტეს რაიმე რჩევის მიცემა, ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთობ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ბატონი პაატა ზაქარეიშვილის პასუხი თავისი ყოფილი გულშემატკივარი თანამშრომლის ვლადიმერ ტაბაღუას წერილზე, რომელსაც, როგორც ჩანს, ასევე სთხოვა დახმარება ბატონმა ქართლოს ზაქარეიშვილმა. ვლადიმერ ტაბაღუა პაატა ზაქარეიშვილს სწერს:

„ბატონო პაატა, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ სასჯელაღსრულების სისტემიდან, თქვენ ს.ა. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბრძანდებოდით, მე კი ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.

ამ დღეებში მქონდა ბედნიერება, გამეცნო თქვენი უძვირფასესი მამა, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანი, საკუთარი შვილების და შვილიშვილების უსაზღვრო მოსიყვარულე, რომელიც დღენიადაგ მდუღარე ცრემლებით იხარშება თქვენი სიყვარულით. ამიტომ შემოგბედეთ შეხმიანება.

თქვენი დონის ადამიანს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, სიმართლისა და სამართლიანობისთვის დაუღალავ მებრძოლს ადამიანური უმაღლესი გრძნობებიდან გამომდინარე, თქვენს წინაშე დაჩოქილი „ერთი ვინმე გლახა“ — ვლადიმერ ტაბაღუა გთხოვთ და გემუდარებით, ამ ბარათის მიღებისა და წაკითხვის შემდეგ, დაუკავშირდეთ მამათქვენს და მოიკითხოთ მამაშვილური ალერსით, რომელიც მოუთმენლად ელოდება თქვენს ზარს და თქვენს ხილვას.

ვფიქრობ, არ გამიბრაზდებით, რამეთუ მამათქვენის ფიქრები მეც მწვავს, ხანდაზმულ ადამიანს. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მშობლების შვილებისადმი სიყვარული, ფიქრი და დარდიც საფლავის კარამდე მიყვებათ და იმ ზეციურ საქართველოდან ილოცებიან შვილების და შვილიშვილების ბედნიერი ყოფისთვის.

წინასწარ ბოდიში, ღრმა კაცური და მეგობრული სიყვარულით. — ვლ. ტაბაღუა.“

ეს ბარათი 2018 წლის სექტემბრითაა დათარიღებული, რაზეც ბატონმა ტაბაღუამ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: **„...მივიღე თქვენი წერილი „მამაჩემთან“ დაკავშირებით. მე თქვენ უღრმეს პატივს გცემთ. „მამაჩემი“ თქვენ მხოლოდ ახლახან გაიცანით და მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებით მელაპარაკებით მასზე, მე მაგ არაკაცს 60 წელია, ვიცნობ, მან თავისი უღირსი მოქმედებით მთელი ოჯახი და სამეზობლო მოიძულა, ეგ „კაცი“ არის ბოროტების განსახიერება, ფარისეველი, პირმოთნე და გარეწარი „ადამიანი“. თქვენ როგორც ოპერატიული საქმიანობის კარგ მცოდნეს, არ უნდა გაგიჭირდეთ მასში ბოროტი შიგთავსის დანახვა, მე მშობლების პატივისცემა არ მეშლება, ჩვენს მშობლებს სამი შვილი ჰყავთ და დედაჩემი მხოლოდ ჩემთან ცხოვრობს, ერთი დღე არ უცხოვრია სხვაგან... გირჩევთ, ერთი თვე იცხოვროთ მასთან და შემდეგ მომწეროთ ასეთი წინდაუხედავი წერილი. მეტი არაფერი მომწეროთ მაგ ნაძირალაზე, მისი ადგილი ჯოჯოხეთშია გამზადებული“.**

* * *

ჭეშმარიტად მრისხანე წერილია, ვერაფერს ვიტყვით! ამ შემთხვევაში კომენტარს აზრი იმ მიზეზით აქვს, რომ ამას აუცილებლად დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი ერთმანეთის წყენის საბაბის გარჩევის და მტყუან-მართლის დადგენის უსაშველოდ გაჭიმული პროცესი მოჰყვება...

ჩვენი მიზანი არა ვინმესთვის რაიმე ვერდიქტის გამოტანა, არამედ მამაშვილურ ურთიერთობაში ცივილიზებული, თუნდაც მინიმალურ დონეზე ადამიანურ ურთიერთობათა დამყარების სურვილია.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ რედაქციის რედაქტორთა საბჭოს კარგა გვარიანი ბჭობა გვქონდა, ფართო მკითხველისთვის გაგვეცნო თუ არა თავისი შინაარსით და არსით ეს უმძიმესი წერილი, რომელიც, მართალია, კონკრეტულად ერთი მამისა და ერთი შვილის „მამა-შვილობას“ აღწერს, მაგრამ სინამდვილეში წერილში წამოჭრილია უაღრესად აქტუალური ზნეობრივი საკითხი. უაღრესად აქტუალური იმ თვალსაზრისით, რომ დღეს არცთუ იშვიათია, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ოჯახური ტრაგედიები, როცა უზნეო დედაშვილობაც, მამაშვილობაც და დედამამიშვილობაც საერთო საზოგადოების ცხარე მსჯელობის საგანი ხდება. მით უმეტეს, ისეთ დროს, როცა შვილი საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო. შვილი უწინარესად საკუთარ ღრმად მიმხცოვანებულ მამასთან რომ ვერ ახერხებს შერიგებას და თანასწორი ურთიერთობის დამყარებას, განა მას მტერ-მოყვარედ გახლეჩილი ხალხების შერიგება და თანასწორი ურთიერთობის დამყარება შეუძლია?! ვთქვათ, სიბერისგან დაჩაჩანაკებული მშობელი ოჯახისთვის აუტანელი ხდება, ახლობლებისთვის და, მით უმეტეს, შვილებისთვის, იმდენად აუტანელი, რომ იმის გვერდით ცხოვრება აღარ შეიძლება, ასეთ მძიმე მდგომარეობაში შვილებს ნუთუ იმის უფლება გვეძლევა, რომ ერთ დროს დიდად მოამაგე მშობლები, ხოლო ახლა დაუძლურებულნი, ბედის ანაბარად მივყაროთ სადღაც ბნელ კუთხეში, ანდა სულაც, თავიდან მოვიშოროთ და ხელი ავიღოთ დედაშვილურ თუ მამაშვილურ უწმინდეს ადამიანურ მოვალეობაზე?!

აი, სწორედ ამ მიზნით გამოგვაქვს ეს მძიმე ამბავი ისედაც ათასი პრობლემით შეჭირვებული საზოგადოების სამსჯავროზე.

ჩვენი გაზეთი მზად არის ამ ურთულეს საკითხზე მსჯელობის გასამართად.

გურამ გოგიაშვილი,
ოთარ ტურაგელიძე.

◎ წერილი რედაქციას

ის სჭირდება საზოგადოებას...

ბატონო რედაქტორო!

ამას წინათ, უფრო ზუსტად, თქვენი გაზეთის 22 აგვისტოს ნომერში უფროსი მეგობრის საიუბილეოდ ნათქვამი არმაზ სანებლიძისა და ნუგზარ ფოფხაძის წერილი წავიკითხე — „კაცი“, რომელმაც ჩემზე იმდენად ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, რომ გადავწყვიტე, გამოვხმაურებოდი.

წერილის გმირია ბატონი გოგი გამცემლიძე, დიდებული კაცი, დიდებული წარსულით — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ყოფილი დირექტორი, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ყოფილი მინისტრი, რომელსაც 89 წელი შეუსრულდა. ვეცნობით მის განვლილ გზას, შრომით მიღწევებს.

ამ წერილს ისეთი სანდო, აღიარებული ავტორები აწერენ ხელს, რომ უტყუარობაში ეჭვს ვერ შეიტანთ. მაგრამ კალამი იმისთვის როდი ავიღე, რომ საიუბილეო წერილი, გ. გამცემლიძის ნამოღვაწარი განვსაჯო, მინდა, ორიოდ სიტყვა ვთქვა დღევანდელ, პენსიონერ გოგი გამცემლიძეზე, რომელსაც ვიცნობ და რომელთან ნაცნობობაც მეამაყება, თუმცა ჩვენი ურთიერთობა, კაცმა რომ თქვას, ყოველდღიური რამდენიმეწუთიანი გამოლაპარაკება უფროა.

მე ლადო ასათიანის ქუჩაზე ვმუშაობ პრესის გავრცელების დარგში, მოკლედ, ჟურნალ-გაზეთებს ვყიდი. ჰოდა, ჩამოივლის ხოლმე ყოველ დილით ბატონი გოგი, ყოველთვის მოწესრიგებული, ყოველთვის პეწენიკი, რომელსაც უმალ, თვალის ერთი შევლებითაც კი შეატყობ, რომ არ არის ჩვეულებრივი, რიგითი პენსიონერი მოხუცი, მოგესალმება ღიმილით, კეთილმოსურნედ, აუცილებლად გამოგესაუბრება ამინდზე, გუშინ მომხდარ გახმაურებულ ამბავზე, ოჯახს მოგიკითხავს და ისე დაგემშვიდობება, როგორც ახლობელს. სითბო გეღვრება სულში და მერე ეს სითბო მთელი დღე მიგყვება.

მე კარგად ვიცი, რომელ გაზეთებსაც კითხულობს ბატონი გოგი, წინდაწინ გადავურჩევ და მოთხოვნამდე მივაწვდი ხოლმე. ეს ახალისებს და აუცილებლად რაიმე ქათინაურს მეტყვის... აი, სულ ეს არის ჩვენი ნაცნობობა, მაგრამ, დამიჯერეთ, საკმაოდ მყარი და შინაარსიანია, ამიტომ ვთხოვე რედაქციას, ნება მოეცათ, მეც შევევერთებოდი ახლობელთა გრძელ რიგს და გულითადად მიმელოცა მისთვის დაბადებიდან 89 წელი, ჯანმრთელობა და სულის სიმხნევე მესურვებინა.

ღმერთმა გადღეგრძელოთ, ბატონო გოგი, თქვენ ძალიან სჭირდებით არა მარტო ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს, არამედ საზოგადოებას, ხალხს, რომელსაც ალამაზებთ, შინაარსს უმდიდრებთ თქვენი ყოფით.

მანანა გურგენაშვილი,
პრესის გამავრცელებელი ლადო ასათიანის ქუჩიდან.

„ᲚᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲚᲝᲛᲗᲐ“ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲘᲚᲣᲠᲘᲫᲔ 40 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲗ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ — მარიამობას, ქსნის ხეობის სახალხო მომღერალს, პირველ ლოტბარს, ანსამბლ „ლომისის“ ხელმძღვანელს, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, საქართველოს კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირის წევრს შალვა ილურიძეს 60 წელი უსრულდება.

დადგა დრო, ქსნის ხეობამ მისი ვაჟკაცური სიმღერები და ლექსები გულის ფიცარზე დაიწეროს, ბავშვებმა ისწავლონ და იმეორონ მისი ხმალივით მოქნეული სტრიქონები, გაითავისონ ქსნის მონატრების ტკივილი, დაბრუნების იმედი, რომელიც მუდმივად თან სდევს ათასობით დევნილ ქართველს.

შალვა ილურიძე ახალგორის რაიონის საამაყო წარმომადგენელია, მისი შემოქმედება მარტო სიმღერა არ არის, მის ხმას პატრიოტული სული, სიყვარული და ვაჟკაცური თვითმყოფადობა, ტკივილი და სიხარული ახლავს თან. მან ქართული სიტყვისა და ქართული ჰანგის ბუნებრივი მდინარება თავის ლექსებსა და სიმღერებში შეაერთა. ის გამორჩეული მომღერალი, პოეტი, პატრიოტი, კაცური კაცი, ილურიძეების ნიჭიერი გვარის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. მას, როგორც მთის შვილს, გამორჩეულად უყვარს თავისი მხარე, მისი ისტორიული წარსული და ის სახელოვანი წინაპრები, რომელთა თავგანწირვაზეც ასე წერს ქსნის ხეობის მეორე დიდი მამულიშვილი, ცნობილი მხატვარი ნიკო ხერკელაძე: **„ქსნელების მიერ ხეობის სიყვარული, ახალგორის განძის თვითმყოფადობის სიდიადეში ჩაიწნა გიორგი სააკაძისგან სამაგალითო ქსნის ომი და საქართველოსთვის „ჯაჭვის პერანგით“ მოიქსოვა. ქეთევან დედოფლის სპეტაკ თავგანწირვაში და წმინდანობაში ამონარნარდა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ქვეყნის გადარჩენისთვის გაღებული სიცოცხლე, თვითშეწირვაში ჩამოცრემლდა და სამარადისოდ ჩაუქრობელ ვარსკვლავებად ციმციმებენ ახალგორის ცაზე და სამაგალითო, სასიყვარულო მოვლენებად ღვივიან ქსნელების გულში“.**

სამოცი წლის გადასახედიდან, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ შალვა ილურიძემ ბევრი რამ მოასწრო, — ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელმა და პოპულარიზატორმა თავის ლექსებზე მრავალი სიმღერა

შექმნა. 30 წელია, ახალგორის რაიონის ფოლკლორულ ანსამბლ „ლომისს“ ხელმძღვანელობს, სადაც პროფესიონალი მომღერლები არიან გაერთიანებული და რესპუბლიკურ ფესტივალებსა თუ კულტურულ ღონისძიებებზე, ყველგან წარმატებით გამოდიან.

ბოლო წლებში ლექსების ორი კრებული გამოსცა. ქსნის ხეობის მოუშუშებელი ტკივილი, დარდი და ადგილის დედის მონატრებით გამოწვეული სევდა მის პოეზიას ლაიტმოტივად გასდევს, თუმცა პოეტი, ღმერთის ძალით, იმედს არ კარგავს, რამეთუ იგი ხომ ქსნის ხეობის იმ მეცხოვნეთა შთამომავალია, რომლებიც მუდამ მცველებად ედგნენ თავიანთ სამშობლოს.

დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ქსნის, კოდორის, ლეხურის ხეობების დაკარგვის გამო ამ ხეობებში ქართული ეთნოსის საცხოვრისი დანელდა, გაპარტახდა, გადაბალახდა... სალოცავები, ციხე-ტაძრები, სოფლების სასაფლაოები ჭირისუფალთა მიუსვლელობით ტირიან, ვეღარსად ნახავთ ცხვარძროხას, ლამაზად ჩამოქნილ თივის ზვინებს... სამშობლო-კუთხე ხომ ადამიანებია, ქართულად ცხოვრების წესია, რომელიც კარგა ხანია, მოიშალა. ოკუპაციის შემდეგ ერთმა ახალგორელმა ასე გამოხატა ეს რეალობა: **„როგორ ვართ? ქართული ლაპარაკი დამენატრულა და ბოლოდან ილურიძეების სიმღერა აღარ გვესმისო“.**

შალვა ილურიძე მომღერალი ძმების, ძმისშვილების, ბიძაშვილების გარემოცვაში თავის ნიჭს, სიმღერის სიყვარულს ჩვეულებრივად მიიჩნევს, მას არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს — მეუღლე და ორი ქალიშვილი, რომლებიც წელს სტუდენტები გახდნენ.

...სიმღერებში იხატება და იქარგება ქართული სული, ეს სული ჩვენს მომავალ თაობებს გადაეცემა შალვა ილურიძის და მის მგალობელ მეგობართა ხმებით.

ღმერთმა არ მოშალოს ქართული ხმები საქართველოში...

მეგობრები:

მაყვალა გონაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ვაჟა ეგრისელი, ვაჟა ოთარაშვილი, მამა ამირან ამირანაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, დავით ტიგინაშვილი, სიმონ ზაქარაია, გია წიკლაური, ტარიელ ოდიშვილი, ნიკო ხერკელაძე, უშანგი მოსიაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, გელა ლარიაშვილი, ჯემალ ჩიტიშვილი, ამირან ბერიანიძე, ვიტალი ქენქაძე, მერაბ ბალაშვილი.

მამულიშვილობა, ანუ მოულოდნელი ვიზიტი

მოგონებათა ნამცვრევები

ᲫᲐᲛᲗᲐ ᲡᲠᲑᲝᲚᲘᲡᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ და უფრო აფასებენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩეულ თავკაცს, დიდებულ მამულიშვილს, ერისთვის მზრუნველს, მოამაგეს ᲕᲐᲡᲘᲚ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡ.

იმათ შორის, ვისაც მისი მმართველობის წლების საქართველო ახსოვს, ვასილ მჟავანაძე ერთ-ერთი ყველაზე ამაგდარ ადამიანად მიაჩნიათ, ფაქტიც სახეზეა, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთში ასეთი მშენებლობა მანამდე არავის ახსოვს, თანაც ქალაქად კი არა, უმთავრესად სოფლებში, ვისაც საამისოდ ხელეწიფებოდა, სახლებს კი არა, სასახლეებს იშენებდნენ. სამწუხაროდ თუ სავალალოდ, დღეს მათი ნახევარზე მეტი დაცლილია, კაციშვილი იქ არ ჭაჭანებს.

კიდევ ერთი, ერისათვის ფრიად მნიშვნელოვანი, ერთგვარად წინასწარმეტყველური და შორსგანჭვრეტილი. იმხანად ჩვენმა გეოლოგებმა დიდი რაოდენობის მიწისქვეშა ნავთობის მარაგი მოიძიეს, რაც ქვეყნის მეთაურს, პირველ თავკაცს მოახსენეს და მოითხოვეს ნავთობის მოპოვება გაეფართოვებინათ, რაზეც ბატონმა ვასილმა ცივი უარი განაცხადა. ნავთობი რუსეთიდან ისედაც საკმარისზე მეტი შემოდის, ეს მარაგი მომავალ თაობებს შევუნახოთო, ბრძანა მან, და აკი წაგვადგა კიდევაც. ბევრს არა, მაგრამ საკმაოდ მოიპოვებენ ჩვენი მენავთობეები და ეს ამ ნეტარხსენებულის ამაგია.

და ყველაზე მთავარი. ამბობენ სტალინის, ბერიასა და საქართველოს მოძულე, გაიძვერა ნიკიტა ხრუშჩოვმა, ბელადზე შური რომ ეძია, ქვეყნიდან ქართველების შორეულ შუა აზიაში გადასახლება მოინდომა, რომ არა ვასილ მჟავანაძის შემართება, შეუპოვრობა, ღმერთმა უწყის, რა უბედურება დაგვატყდებოდა თავს.

ბატონი ვასილი უბრალოებითაც გამოირჩეოდა. ერთ ასეთ ამბავს გავიხსენებ, კახეთში, კერძოდ, ლაგოდეხში მიმავალს, სოფელ გელათში, ვენახში მოფუსფუსე ღავრენტი კალანდაძე, ანუ ჩემი მეუღლის ალალი ბიძა შეუნიშნავს, მანქანა გაუჩერებინებია, გადმოსულა, ჭიშკარი შეუღია, დინჯად შებრძანებულა.

— თუ შეიძლება, ერთი ჭიქა წყალი დამალევინეთო, — შორიდან შეხმიანებია მასპინძელს.

გლეხს გაუხედავს ვასილ მჟავანაძე რომ შეუცვნია, თოხი იქვე დაუგდია, თან მეუღლეს შეხმიანებია, ქალო, ჩქარა, ღვინო და პურ-მარილიო.

ვასილ მჟავანაძეს გლეხი დაულოცნია.

ამ მართლაც დიდებულ ხელმძღვანელზე სხვადასხვა დროს მეც მომიყოლია, დამიწერია, და აი, კიდევ ერთი ნამცვრევი.

იმხანად საქართველოს ერთადერთი ტელე-რადიომაუწყებლობის ჟურნალისტი გახლდით ქვემო ქართლში, კერძოდ, სამრეწველო ქალაქ რუსთავის ზონაში, სულ ხუთი რაიონი შემოდიოდა ჩემს საუფლოში, ხუთივე ხვავიანბარაქიანი, მევენახეობა-მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა... სარეკორდო მოსავალი მოდიოდა კიდევაც, ერთი სიტყვით, რა გინდა სულო და გულო.

აი, გარდაბანს კი ჰყავდა გამორჩეული თავკაცი ალექსი ბექაური, მკაცრი, მომთხოვნი და ფრიად წარმატებული. მას იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, არაოფიციალურად ცენტრალური კომიტეტის მდივნადაც კი მიიჩნევდნენ.

და აი, ერთხელაც მირეკავს ტელეფონით, ჩემო გივი, რა გადაცემა გქონდა რადიოთი, თვით ვასილ პავლეს ძე რომ გადაგირევია, ყველა საქმე განზე გადაუდვია და ჩემთან მოდის თურმე, ჰოდა, შენც აქ იყავიო.

საქართველოს რადიოს ჰქონდა ასეთი რუბრიკა, „სოფლის დილა“, სადაც გარდაბანზე მქონდა თითქმის ნახევარსაათიანი საუბარი.

ბატონ ვასილს კი ჩვეულება ჰქონია, დილით პირს რომ იპარსავდა, კედელთან, რადიოსთან მიდგებოდა თურმე და თან უსმენდა. მე არ ვიცი, ისეი რა მოეწონა, მაგრამ მოულოდნელი გადაწყვეტილება კი მიუღია, ჰოდა, გარდაბანში ჩამობრძანდა.

ის დღე ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაიონის გაცნობას მოანდომა კიდევაც. მრავალი საშვილიშვილოდ გადაუწყვეტელი საქმე მოვაგვარეთო, მითხრა ინტერვიუში ბატონმა ალექსიმ და საქმიანი კაცის კმაყოფილებით გაიღიმა.

აბა, ბატონი ალექსი რა შვილი იყო, ძვირფასი სტუმარი უპურმარილოდ რომ გაეშვა.

საამისოდ მას გარდაბნის მართლაც ჩინებულ ნაკრძალში საგანგებო „ქოხი“ ჰქონდა.

იმ დღეს, ჩემს სიცოცხლეში პირველად დავაგემოვნე ირმის ხორცი.

არადა, იმხანად გარდაბნის ნაკრძალი განთქმული იყო გარეული ირმების სიმრავლით.

ის კი არა, ავადსახსენებელ ნიკიტა ხრუშჩოვსაც მოუნადირნია იქაურობა, ოღონდ მისთვის ხეზე საგანგებოდ მიუბამთ ბეჩავი ირემი.

სხვათა შორის, აქ იუგოსლავიის პრეზიდენტი ბროს ტიტო და სხვა მრავალი მაღალი რანგის სტუმარიც ყოფილა სანადიროდ!

ჩემი ჟურნალისტური პროფესიის წყალობით არცთუ იშვიათად მეც მიხდებოდა მათი მასპინძლობა.

ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ,

დამსახურებული ჟურნალისტი, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, დავით კლდიაშვილისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი

რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

1134
სქელკანიანებს აღიზიანებთ ნატიფი ალუზიები.

1135
ადამიანს უყვარს სიცილი – სხვებზე.

1136
რა ძნელია იმის დამალვა, რომ შენ არ არსებობ!

1137
რამდენი უკანასკნელი სიტყვა იბრძვის პირველობისთვის!

1138
ვინც ტყუილუბრალოდ დამწვარა, თავზე ნაცარს იყრის.

1139
დედამიწა იქნებ სულაც შენიშვნაში ჩამოტანილი ვარსკვლავია, რომელიც ჩვენს თვალს გამოეპარა.

1140
ნუ ენდობი გულს, შენი სისხლი სწყურია...

1141
ადამიანს უკვე აქვს ფრთები, ანგელოზი კი ვერა და ვერ გამხდარა.

1142
როგორ იზრდებიან ჯუჯები? – სიგანეში.

1143
ძვეყნიერება, ალბათ, სიცარიელის წინაშე შიშის გამო გაჩნდა.

1144
ადამიანი, სამწუხაროდ, ხშირად ხვდება იმის სათავეში, რაც უკვე უკან დარჩა.

1145
ჩვარს მივაფურთხო? თვითონვე მოიწმენდს.

1146
სიტყვიდან სიტყვისკენ ადამიანი ხან მთელი ცხოვრება მიდის.

1147
ვინც მოინდომებს, რომ დესპოტებს თვალსაჩინოდ უჩვენოს თეთრის სითეთრე და შავის სიშავე, ისინი იმწუთასვე უჩვენებენ, რომ ის თვითონ წითელია.

1148
თავს ქვიშაში ნუ იმალავ, მესაფლავეებს სამუშაოს ნუ ართმევ.

1149
ყველაფერზე თვალი რომ დახუჭო, ასი თვალი უნდა გქონდეს.

1150
დიდ მთვარეულთ მთვარე არა სჭირდებათ.

1151
რაც ადამიანმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო, ჩრდილი დაუგრძელდა.

1152
სულის გარდერობისთვისაც არის მოდის ჟურნალები.

1153
რაც ირწევა, ყველაფერი აკვნად როდი გამოდგება.

1154
ის ვითომ დიდად მაფასებს? ვიცი, ოცდაათ ვერცხლზე მეტს მოითხოვდა.

1155
ეპოქებს არქეოლოგია ქმნის.

1156
უფსკრულში ნახტომისთვის ტრამპლინი არ არის საჭირო.

1157
მეფეები როცა ტიტვლები არიან, ლაქიებიც მკვირცხლად იძრობენ ლივრეებს.

1158
ვისაც თვალი აეხილა, ხან იძულებულია, რომ ბრმად მოგვაჩვენოს თავი.

1159
წინასწარ ვხედავ ასტროლოგიის აღორძინებას, როგორც კი ვარსკვლავებზე ადამიანი დასახლდება.

1160
რაც ისეც უკვე იხრწნება, ზედმეტად მიიჩნევს (სავსებით სამართლიანადაც) ყოველგვარ ანალიზს.

1161
რომელ ქარს გავატანოთ სიტყვები?

1162
მისი დუმილი ლაკონიურია.

1163
ჯავშანი კი არ იცავს ჩვენს სხეულს, არამედ კოსტიუმი.

1164
ჩრდილი? ოპტიმიზმის წყაროა. იმის დასტურია, რომ ირგვლივ სინათლეა.

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

1165
ეგ მწერალი თავისი იდეების სიღრმიდან მთლად სველი ამოდის.

1166
ვინ იცის, იქნებ დამუხრუჭებული რეფლექსი მაქვს? უკვე ისე დიდხანს ვუნდები ფიქრს.

1167
ადამიანის სხეული ყველაზე გავრცელებული კოსტიუმია მხეცების კარნავალზე.

1168
ხელოვნება ინიღბება – ცხოვრებით.

1169
სიტყვები ბოცვრებივით მრავლდებიან და მთელი ქვეყნიერების სიმწვანეს ისინი ჭამენ.

1170
მაშველი წრე ძაღლის საყელო გამოდგა.

1171
თუთიყუშის ოცნების ზღვარი თავისი თავის განმეორებაა.

1172
ეშმაკის რქებზე შარავანდი უფრო მაგრად დგას.

1173
გევრი რამ უაზრობამდე უნდა მივიყვანოთ, დაე, იმ ბევრმა რამემ თავისი მშობელი იცნოს.

1174
ადამიანი თავის თავამდე შემოვლით მიდის, როგორც ლოკოკინა.

1175
ნუ სდევნით კოპროფაგებს (ნეხვიჭამიებს), მაგრამ ნურც სტუმრად ეწვევით.

1176
ფრენის სიმაღლე დააადაბლა და პარნასზე აღმოჩნდა.

1177
ზოგს თავისი სიცოცხლით არ უცხოვრია, სულ სხვისი სიკვდილით ცდილობდა თავის გადარჩენას.

1178
გითხრა, რატომ გარბიან ადამიანები გემიდან, რომელიც არ იძირება? რატომ და, მიხვდნენ, სადაც მიჰყავს იმ გემს ისინი.

1179
შემოქმედნო, გახსოვდეთ, რომ პანთეონებიც სასაფლაოებია.

1180
ცალმხრივთ უკუღმა ვერ გადმოაბრუნებთ.

1181
ხან მრავალი აზრია საჭირო, რომ ერთი დაიმახსოვრო.

1182
გენიოსების მემუარები ეპოქის სახეს არა ქმნიან.

1183
ეს ჩვენი სიცარიელეა, ქვეყანას რომ აუკაცრიელებს.

1184
ძაღლის კუდი ცვალებად ქარებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ქიცინებს.

1185
კბილებს ნუღა აჩენ, როცა გაგაგანებს.

1186
არგონავტები ოქროს საწმისში იქნებ ოქროს კერპს გულისხმობდნენ?

1187
ისინი მიზანს უკვე დროულად ვეღარ მიაღწევენ. მიზანი ძალიან შორს დარჩა უკან.

1188
„არ მიყვარს თავისუფლების წუთები, – აღიარა მრავალჭირნახულმა მონამ, – შეგხსნიან ბორკილს და რჩები მარტოდმარტო“.

1189
დანაშაული მრავალგზის დაგმეს იმის გამო, რომ ცუდად იყო შესრულებული.

1190
ჩემს მოძულეებს ჰგონიათ, რომ სიმართლეს გულახდილად ვეუბნები. სულელები არიან, კი არ ვეუბნები, უმალავ, არ მინდა, რომ სიმართლემ განკურნოს ისინი.

1191
ყველაფერი შეურყეველი სიმშვიდით გადაიტანეთ!“ – ყველაზე ხშირად გვირჩევენ – საკვირველი ამბავია! – ცინიკოსები.

1192
ვაი იმათ, ვისაც ტაბუ შეეხება!

1193
ვერც ერთი ტორკვემადა ვერ დააფქვევინებს ადამიანებს იმდენ საიდუმლოს, რამდენსაც დიდების წყურვილი.

1194
ხშირად კლასიკოსთა ისეთ მიამიტურ აფორიზმებს ვკითხულობ, რომ ვიჯერებ იმათ გენიალურობას.

1195
უნიგნურნი იძულებულნი არიან, რომ გვიკარნახონ.

1196
გაჯაღარავეს მოგონებებმა, რომლებიც თვითონ მოიგონა.

1197
რკინის ღობეების ჩრდილი გარეთ ეცემა.

1198
ადამიანებმა თავიანთი ძეგლები რომ იცოდნენ, თავს იმათ დაამგვანებდნენ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147, 151, 153, 154, 157-158, 162, 165, 167

აგრესიული, დაბოღმილი, არაადეკვატური ქართველობა ჩვენს ქვეყანას სიცოცხლეს უმოკლებს!

„ვარდების რევოლუცია“ რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა 2008 წლის აგვისტო

საქართველოს ისტორიაში აგვისტო შავი ასოებით ჩაიწერა. 2008 წლის ომმა მძიმე კვალი დაამჩნია ქვეყანას. 2008 წლის აგვისტოდან დაწყებული ქართველი აგვისტოს არა მარტო აგვისტოში იხსენებს, არამედ სხვა, ნებისმიერ თვესა და დღეს. იხსენებს გულისტკივილით, ომში დაღუპული ადამიანების პატივისმიგებით, მათი სამარადისო სამყოფელის მონახულებით.

მედიას არ სჯერა, რომ ომი საქართველომ, კერძოდ სააკაშვილმა დაიწყო. სააკაშვილის ნათქვამიდან გამომდინარე კი საწინააღმდეგოს ვხედავთ. ნუთუ მედიამ სააკაშვილზე უკეთ იცის, ვინ დაიწყო ომი?

ეს ინტერვიუ იმით არის გამორჩეული სააკაშვილის სხვა ინტერვიუებისგან, რომ ნათელს ჰფენს არა მარტო ომის დაწყების თემას, არამედ მისდამი დასავლეთის დამოკიდებულებას. „ვფიქრობ, რომ ამერიკამ დაგვიანებული რეაგირება მოახდინა, რამაც ჩემი იმედგაცრუება გამოიწვია. იყო აშშ-ის თავდაცვის მინისტრის რობერტ გეიტსის განცხადება – რომ ისინი არ გამოიყენებენ სამხედრო ძალას. ის ამაზრზენად ცინიკური იყო. ის გამოდიოდა ნატოში ჩვენი მიღების წინააღმდეგ. მან მითხრა – თქვენი მიღება ნატოში ცუდი წამოწყებაა, მაგრამ ჩვენს პრეზიდენტს ასეთი სურვილი აქვს, რა გაეწყობა?

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სხდომაზე, როდესაც ბუშმა შესაძლო ვარიანტების შესახებ დაიწყო ლაპარაკი, ვიცე პრეზიდენტმა ჩეინიმ თქვა ფრთოსანი რაკეტების გამოყენების თაობაზე (რუსეთის წინააღმდეგ), რაზეც გეიტსმა უპასუხა – „არავითარ შემთხვევაში“, – ამბობს სააკაშვილი.

საბედნიეროდ, იმჟამად აშშ-ის ადმინისტრაციაში გეიტსის მსგავსი გონებაგახსნილი ადამიანებიც იყვნენ. სწორედ მათი ძალისხმევით მსოფლიომ თავიდან აიცილა მესამე და უკანასკნელი ომი, რომელიც ბირთვული იქნებოდა.

სცოდნოდათ ქართული ჯარის მობილიზაციის და მიზნების თაობაზე. ძნელად წარმოსადგენია, რომ ქართველებმა სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა დაიწყეს ამერიკელთა სურვილის გაუთვალისწინებლად.

ქართველებს ამერიკელთა იმედი ჰქონდათ. მათ არ შეეძლოთ, უარი ეთქვათ ამერიკელთა მოთხოვნებზე, რაც გვაიძულებს, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: ეს იყო აშშ-ის სპეცსამსახურების გრანდიოზული ჩავარდნა. მათ არ იცოდნენ რუსეთის სამხედრო ძალა ან იცოდნენ, მაგრამ ქართველებთან ერთად შეცდნენ“.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ისტორიისთვის მარჩიელობა არაფრის მომტანია, თუმცა იმას, რასაც ქვემოთ ვიტყვი – ის მარჩიელობაა, რომელიც სინამდვილესთან ახლოა. ჟურნალისტის კითხვაზე – რამდენად წარმატებულად მიაჩნდა მას ცეცხლის შეწყვეტის სარკოზისეული გეგმა, სააკაშვილმა თქვა: „სარკოზი მოსკოვიდან დაბრუნდა გეგმით, რომელშიც გაჩნდა კიდევ ორი პუნქტი – უსაფრთხოების ზონები და პირობა, რომ მოგვიანებით საერთაშორისო საზოგადოება განიხილავდა ტერიტორიების სტატუსს (იგულისხმება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი). მე ვთქვი, რომ ეს მიუღებელია და ბოლოსდაბოლოს რუსებმაც უარი თქვეს ამ პუნქტებზე. მათ უნდოდათ, დავთანხმებულიყავი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გადამექცია საჯარო განხილვის თემად, რომელზეც ჩვენ არ გვექნებოდა არავითარი გავლენა და რომელიც მისცემდა შანსს, სხვას გადაეწყვიტა ჩვენი სტატუსი, ჩვენი აზრის გაუთვალისწინებლად“.

სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებას და გამუდმებულ მუქარას, რომ სულ მალე ის ძალით დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, მოჰყვა 2008 წლის 26 აგვისტო – რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რამაც მუქარასაც დაუსვა წერტილი და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასაც...

იმ შეცდომებიდან, რაც სააკაშვილმა დაუშვა სისხლიანი მმართველობის დროს, ყველაზე უხეში და ქვეყნისთვის გამანადგურებელი იყო ომის გაჩაღება და შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის გეგმიდან სტატუსის განმსაზღვრელი პუნქტის ამოღება.

ვიმეორებ, ისტორიისთვის მარჩიელობა არაფრის მომტანია, მაგრამ მოდით ვიმარჩიელოთ. რა იქნებოდა, რომ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველოს სათავეში არაადეკვატური, შლეგი სააკაშვილი არ მოსულიყო?

„ვარდების რევოლუცია“ თავისი შინაარსით და შემართებით, წარსულის წამშლელი ღონისძიება იყო. მას ქართველთა ხელით უნდა ამოეძირკვა ყველაფერი – კარგი თუ ცუდი, რასაც ადგილი ჰქონდა წინა ცხოვრებაში.

„ვარდების რევოლუციით“ უნდა დაწყებულიყო საქართველოსთვის ამერიკული ყაიდის ახალი წელთაღრიცხვა. პროექტის განსახორციელებლად გაუწონასწორებელი, ახალგაზრდა შეირჩა – აშშ-ში განვლილი ტრენაჟით, რომელმაც ფრიადზე შეასრულა აშშ-ის სპეცსამსახურების დავალება.

„ვარდების რევოლუციამ“ მოიტანა საზოგადოების „ტვინის ცვლა“, გადაგვარება, დეგრადაცია, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაზე აირეკლა.

და მაინც, რომ არ ყოფილიყო „ვარდების რევოლუცია“, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ – არ იქნებოდა 2008 წლის აგვისტო – საქართველოს ერთიანობის დამაქცევარი და გამანადგურებელი.

„ვარდების რევოლუციისა“ და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს ჩვენთვის რაღაც უნდა ესწავლებინა. ის მაინც – რომ ბირთვულ სახელმწიფოსთან დაჭიდება ავის მომასწავებელია.

გვასწავლა?

არამც და არამც. ისევ კუნთებზე ვიყურებით, რომელიც არ გვაქვს. ისევ ვპროვოცირებთ რუსთა გამოსაწვევად. ისევ ვილანძღებით, რითაც ქვეყანას სიცოცხლეს ვუმოკლებთ. აგრესიული, დაბოღმილი ქვეყანა, მუდამ ფათერაკებისკენ მიმართული ძნელად გაიკვლევს გზას ადუღებულ საუკუნეში.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

იხსენებს ბოღმით, წაგებული ომის, სამხედრო ხელმძღვანელობის უთავბოლო, მოღალატური ქცევის, ხელისუფალთა ავანტიურისტული პოლიტიკის გამო.

იმ აგვისტოდან დაწყებული გვესმის პატრიოტული მოწოდებები მტრის დასაგმობად, საერთაშორისო საზოგადოების, მეგობარი ქვეყნების გამოსაფხიზლებლად, მათი მხრიდან ჩვენი მტრის მიმართ, გამანადგურებული პოლიტიკის გასატარებლად.

საქართველოს ხელისუფლებას დღესაც მიაჩნია, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება საერთაშორისო საზოგადოების და პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევით იქნება შესაძლებელი, რაც სრული აბსურდია. თუ ვინმეს უნდა სჯეროდეს ამის – ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილია.

ის ხომ მუდამ გაიძახოდა – დასავლელი მეგობრები აიძულებენ რუსეთს წართმეული ტერიტორიების დაბრუნებას. დღევანდელ სააკაშვილს რომ არ სჯერა ამის – ფაქტია. იხილეთ მისი ვრცელი ინტერვიუ, რომლის დიდი ნაწილი დასავლეთისადმი იმედგაცრუების დემონსტრაციაა. მიუხედავად სააკაშვილის ტვინის სლალომური მუშაობისა, სადაც ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებების კორიანტელია, შიგადაშიგ სიმართლის ამოკითხვის შესაძლებლობაც ჩნდება.

დიდი ბრიტანეთის Institute for War and Pease Reporting წარმომადგენელ ვაჟა თუთბერიძესთან საუბარში ის აცხადებს: „როდესაც პატარა ქვეყანა სხდება მათთან ერთად მაგიდასთან და იწყებს ლაპარაკს, როგორც თანატოლი, ისინი ამას ყოველთვის არ აფასებენ. ისინი თვლიან, რომ ცდილობთ თავზე ვით ატომას. ახლა მე ეს მესმის, მაგრამ მაშინ ვთვლიდი, რომ ეს ჩვენი სამყაროა, რომ ჩვენ ყველანი თანაბრები ვართ“.

„ჩვენ შევეწინააღმდეგეთ სისტემას, რომელიც მსოფლიოს ჩვენს ნაწილში არსებობდა. მე ძალიან ვენდობოდი დასავლეთს, მაგრამ ჩვენი მიდგომები ეფუძნებოდა ფასეულობებს. მე ძალიან გულუბრყვილო ვიყავი დასავლეთის მიმართ. მე ვფიქრობდი, რომ ისინი ყოველთვის იმას აკეთებენ, რასაც აცხადებენ; რომ მათ სჯერათ საკუთარი პრინციპების“.

ეს და სხვა მოსაზრებები, რომელსაც სააკაშვილი აჟღერებს, დასტურია იმისა, რასაც ზოგიერთი ჩვენგანი მაშინ ხმამაღლა აცხადებდა, წერდა, თუმცა ხელისუფლებას, არასამთავრობო სექტორს, მედიას ყურადღება არ მიუქცევია. დარწმუნებული ვარ, არც დღეს მიაქცევენ ყურადღებას სააკაშვილის ნათქვამს. მისივე პარტიელები ზერელედ შეაფასებენ მას და გააგრძელებენ დასავლეთზე ბოჩოლას მსგავსი მორჩილი თვალებით მზერას.

ის, რომ დასავლეთი საქართველოს გამო ომს არ დაუწყებდა რუსეთს, განა ძნელი გამოსაცნობი იყო?

ის, რომ აშშ, ნატო, ევროკავშირი საქართველოსთვის თავს არ მოიკლავს, განა ცნობილი არ უნდა იყოს დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის?

კითხულობ სააკაშვილის ინტერვიუს და უმალ თვალწინ გიდგება 2008 წლის ომის კადრები, თავდაჯერებული მხედარმთავარი, მისი გუნდი და სამხედრო მაღალჩინოსნები – დასაწყისში წელში გამართულნი, შემდეგ მოხრილნი, მხრებჩამოყრილნი, თავდახრილნი. თუ ვინმეს დაავიწყდა ეს სურათი, უნდა შევახსენოთ, რათა ვაიპატრიოტებს გამეორების საშუალება წავართვათ, მყვირალა რიტორიკა აღვუკვეთოთ, უზნეო საქციელი დავგმოთ, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთ-საქართველოს ე.წ. საზღვართან.

წამით წარმოვიდგინოთ – რა მოჰყვებოდა ჩეინის მოსაზრების გაზიარებას სხდომის მონაწილეების, მათ შორის პრეზიდენტის მიერ?!

ფრთოსანი რაკეტებით რუსეთის ჯარის დაბომბვა და სად – საქართველოს ტერიტორიაზე?

თუ რა საპასუხო რეაქცია ექნებოდა რუსეთს – ძნელი გამოსაცნობი არ არის.

ერთ-ერთ თოქ-შოუში ინგა გრიგოლია თავდაჯერებით ეცა რესპონდენტს, რომელმაც თქვა ის, რაც ტალიავინის კომისიამ – ღამის ცხინვალის მასირებულ დაბომბვასთან დაკავშირებით. რატომღაც მას და მისთანებს სჯერათ, რომ ასეთს (დაბომბვას) ადგილი არ ჰქონდა, მიუხედავად სპეცკომისიის და გაეროს მტკიცებისა.

ყოველივე აღნიშნულს ფარდას ხდის თვით მთავარი შემოქმედის სააკაშვილის ნათქვამი: „როდესაც თქვენ ინიცირებას უკეთებთ სამხედრო ოპერაციას, ხელმძღვანელობთ სამხედრო პროტოკოლით, თქვენ აღარ მოქმედებთ პოლიტიკის სიბრტყიდან გამომდინარე ... ისინი (სამხედროები) წყვეტდნენ, რა იარაღი გამოეყენებინათ ამა თუ იმ სამიზნის საწინააღმდეგოდ ...“.

შეკითხვაზე, რომ ქართულმა მხარემ გამოიყენა კასეტური ბომბები, სააკაშვილმა უპასუხა: **„ჩვენ გვქონდა იარაღი, რომელსაც ჩვენი რეგიონის ბევრი ქვეყანა ყიდულობდა, მაგალითად რაკეტა „გრადი“. მე არასდროს დავინტერესებულვარ სამხედროები რას ყიდულობდნენ“.**

სააკაშვილის პასუხებიდან ჩანს – ვინ დაიწყო ომი, ვინ გამოიყენა აკრძალული „კასეტური“ ბომბები. ამის შემდეგ საწინააღმდეგოს მტკიცება სააკაშვილის, არასამთავრობოების, მოსყიდული ჟურნალისტების მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, არაობიექტურობაა, ისევე, როგორც იმის მტკიცება, აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა როგორ გააფრთხილა სააკაშვილი, ომი არ დაიწყო.

სააკაშვილის პასუხი ასეთია: „კონდიმ მითხრა, არ ავყოლოდით პროვოკაციას. ისინი (რუსები) არაფერს არ გააკეთებენ“. სააკაშვილი თვლის, რომ კონდოლიზა რაისმა თავის წიგნში საკუთარი ინტერპრეტაცია მოახდინა, რასაც სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, კონდოლიზა რაისს კატეგორიულად რომ ეთქვა სააკაშვილისთვის ომის არდაწყების თაობაზე, სააკაშვილი დაუჯერებდა, მაგრამ რახან ეს იყო ცალყბად და გაუგებრად ნათქვამი, სააკაშვილი საპირისპიროდ მოიქცა.

საინტერესოა ამერიკელი ექსპერტის ჯორჯ ფრიდმანის მიერ 2008 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატია, სადაც ის წერს: „7 აგვისტოს ღამეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გადაკვეთეს სამხრეთ ოსეთის საზღვარი და ცხინვალის მისადგომებთან გააჩაღეს ომი. 8 აგვისტოს ომში ჩაერთო რუსეთის ჯარი. შესაძლოა ქართველები არც ისე კარგად ომობდნენ, მაგრამ ამ რაიონებში მათ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები ჰყავდათ, რომელთა განსათავსებლად მინიმუმ რამდენიმე დღე იყო საჭირო. ასე რომ, საქართველომ ნაბიჯი გადადგა წინასწარი განზრახვით.

აშშ-ი საქართველოს უახლოესი მოკავშირეა. მათ საქართველოში 130 სამხედრო მრჩეველი ჰყავდათ. გარდა ამისა, იყვნენ სამოქალაქო მრჩეველებიც. წარმოუდგენელია, რომ მათ არ

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲘᲗᲕᲘᲡᲐ ᲐᲘᲑᲚᲘᲡ ᲛᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ?

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲐᲜᲣ ᲐᲘᲑᲚᲘᲡ ᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲘᲑᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲨᲘᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ �პᲐᲐᲢᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐᲛ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲠᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ �პᲐᲐᲢᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ. �პᲐᲐᲢᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ, „ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ:

„რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის რეესტრზეა ლაპარაკი, რომელშიც შევიდა ცვლილება...თუ აქამდე ეს აფხაზებსა და რუსებს შორის იყო სადავო, დაახლოებით ერთი კვირის წინ დაკანონდა და რუსეთისთვის ეს აღარ არის სადავო“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ პაატა დავითაია.

იურიდიულად რუკებზე ცვლილების ამსახველი ინფორმაცია არ დასტურდება. „გუგლისა“ და „იანდექსის“ რუკებზე საზღვარი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიას შორის აიბლის მთის მონაკვეთზე არ შეცვლილა და ის ისევ მიუყვება მდინარე ფსოუს (ფსოუს გარკვეული ნაწილი რუსეთის ფედერაციის საზღვრებშია მოქცეული) და სოფელ აიბლის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებად ყოფს.

აიბლა მდინარე ფსოუს ზედა მონაკვეთში მდებარე სოფელია, რომელიც ორადაა გაყოფილი რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის. საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის, სოფლის ნაწილი ადლერის რაიონის ქალაქ სოჭის შემადგენლობაშია, ნაწილი — გაგრის რაიონის. სოფელი ზღვის დონიდან 840 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. საბჭოთა პერიოდშიც სოფლის კუთვნილების საკითხი სადავო იყო რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის.სოფელი ორ რესპუბლიკას შორის 1929 წელს გაყვეს. არსებობს 1937 წლის რუკაც, რომელიც უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცავს საზღვრის მონაკვეთების შესახებ. რუკა რუსეთში კრემლის არქივში ინახება და ქართული მხარისთვის მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, ხელმიუწვდომელია. „რადიო თავისუფლებასთან“ ინფორმირებული წყარო ამბობს, რომ ამ რუკას ქართულ მხარეს არ აძლევენ, ვინაიდან იქ მონიშნული საზღვრები რუსეთისთვის არახელსაყრელია.

* * *

2011 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲛᲐ ᲐᲘᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲘᲤᲔᲗᲥᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲐᲠᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ. ᲓᲐᲕᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

საზღვრის დასადგენად შექმნილია სამთავრობო კომისიები,რომელსაც აფხაზური მხრიდან დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ვალერი კვარჩია ხელმძღვანელობს, რუსეთს წარმოადგენს ელჩი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში.

როგორც „რადიო თავისუფლების“ რუსულენოვან პროგრამა „ეხო კავკაზას“ უთხრა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ, რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვრის დემარკაციადელიმიტაციის სამუშაოები, მათ შორის სოფელ აიბლის მონაკვეთზე, დასრულებული არ არის და დეზინფორმაციაა, თითქოს სოფელი რუსეთის შემადგენლობაშია.

„ამასთან იმასაც გეტყვით, რომ დასახლებული პუნქტი აიბლა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც არსებობს და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ის რუსეთის კარტოგრაფიულ ჩამონათვალშიც გვხვდება. რაც შეეხება სოფელ აიბლას, რომელიც აფხაზეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ის მდებარეობს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს იურისდიქციაში“, — აცხადებს დაურ კოვე.

„რადიო თავისუფლების“ რუსულენოვან პროგრამა „ეხო კავკაზასთან“ საუბარში რუსეთის ფედერაციის ელჩმა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში ალექსეი დევიანინმა გასულ წელს განაცხადა, რომ საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის კომისიის მუშაობა შეჩერებულია, მისი სიტყვებით კომისიის მუშაობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა განახლდეს. გასარკვევი მხოლოდ ერთი სოფლის — აიბლის საზღვრის ნაწილია, „თუმცა სტრატეგიული პარტნიორებისთვის ეს საკითხი დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს“.

ᲐᲘᲑᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲗᲕᲘᲡᲐ

ᲘᲡ ᲠᲝᲛ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐᲓ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ, ᲬᲚᲔᲑᲘᲐ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲨᲔᲠᲘ�გᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲝᲚᲝᲒᲘ �პᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲓᲛᲐ 2013 ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲝᲭᲘᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲗᲕᲘᲡᲐ. ᲝᲚᲘᲛᲪᲘᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲥᲢᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲤᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲘᲥ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲕᲔᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ. ᲑᲚᲝᲙᲞᲝᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲛᲐ. რაც პაატა ზაქარეიშვილის თქმით, არის სრული უკანონობა და საქართველოს ტერიტორიების ანექსია.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ 2013 ᲬᲔᲚᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲐ, ᲔᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲘᲮᲓᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ. ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲥ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ“, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

„საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაია აზუსტებს, რომ პრობლემა ახალი არ არის, და პარლამენტში მისი მუშაობის წლებში ამ საკითხზე აფხაზურ მხარესთან თანამშრომლობის ისტორიასაც იხსენებს.

„პირველად ეს საკითხი 2011 წელს ბიუროს სხდომაზე დავაყენე, მაშინ იყო აიბლის მხარის მიერთების მცდელობა, მაშინ უნიკალური შავი მარმარილოს საბადოს ხელში ჩასაგდებად სჭირდებოდათ ეს ტერიტორია. აფხაზებმა გაუწიეს წინააღმდეგობა, შეიქმნა შესაბამისი სამთავრობო კომისია საზღვრების დასადგენად. ახლა შეიძლია გავახმაურო, რომ მაშინ ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს გადასცა რუკები და ამ კომისიამ ეს რუკები გამოიყენა, მაშინ ეს საიდუმლო თემა იყო, ახლა როცა ეს ტერიტორია ღიად მითვისებულია, შეიძლება ამაზე ლაპარაკი. მაშინ აფხაზურმა კომისიამ გამოიყენა ეს რუკები და გაუწია წინააღმდეგობა რუსულ მხარეს“, — ამბობს პაატა დავითაია.

ამჟამად საზღვრის საკითხზე უფრო პრობლემური ისაა, რომ სოფელ აიბლის იმ ნაწილში, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხვდება, მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი რუსეთის მოქალაქეა, მდინარე ფსოუს მარცხენა სანაპიროს მიწების უმეტესობა რუსეთის მოქალაქეთა საკუთრებაა და კრასნოდარის მხარის, ადლერის ადმინისტრაციის ჩინოვნიკები თავის საკონტროლო ზონად მიიჩნევენ, ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ ინფორმირებული წყარო.

ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ საქმეთა სამინისტროს განცახდებით „რუსეთის ფედერაციის საკადასტრო დოკუმენტებში სოფელ აიბლასთან დაკავშირებით მონაცემები შესულია პირველ ჯერზე 2002, შემდგომ კი 2009 წელს. სამწუხაროდ, მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულ ფაქტს არ მოჰყვა არანაირი რეაგირება.

სამართლებრივ შეფასებას რაც შეეხება, ოკუპირებული გაგრის რაიონის სოფელი აიბლის ნაწილის რუსეთის მიერ თავის ტერიტორიად გაფორმება, ისევე, როგორც სხვა მსგავსი ნაბიჯები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, წარმოადგენს საქართველოს რეგიონების ანექსიის პროცესისა და სხვა უკანონო მოქმედებების გაგრძელებას“, — ნათქვამია განცხადებაში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქვს ადგილი,რუსეთის მხრიდან უკანონოა.

„მას არც საერთაშორისო სამართალი სცნობს, არც საერთაშორისო საზოგადოება და მით უფრო, არც საქართველოს იურიდიული სივრცე. ეს თემა აფხაზურ საზოგადოებასა და მედიასივრცეში 2006 წლიდან განიხილება. მათ შორის, 2009 წელს და 2014 წელსაც. აფხაზებს, ამის მიმართ, ბუნებრივია, ძალიან კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ, რადგან რუსეთის ნებისმიერი მანევრი საქართველოს ტერიტორიაზე — აფხაზეთის რეგიონში — სრულიად უკანონოა. მათ აქვთ განცდა, რომ ისინი საკუთარ უფლებამოსილებას სცდებიან და ძალიან უხეშად არღვევენ თუნდაც ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს“, — აცხადებს ქეთევან ციხელაშვილი.

პაატა დავითაიას სიტყვებით საქართველომ გაეროს ეგიდით საერთაშორისო სასამართლოში უნდა მოითხოვოს საზღვრის შეცვლა, რაშიც საქართველოს აფხაზური მხარის მხარდაჭერაც ექნება.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲐᲫᲔ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘ... ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲖᲔ

ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲒᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ დონალდ ტრამპი არ გამორიცხავს, რომ დიდი შვიდეულის შემდეგი სამიტი აშშ-ში, ფლორიდას შტატში, მაიამის სანაპიროზე მდებარე ტრამპის კურორტზე ჩატარდეს.

ამის შესახებ ტრამპმა ბიარიცში ანგელა მერკელთან პირისპირ შეხვედრამდე განუცხადა ჟურნალისტებს.

მისივე თქმით, სამიტის მომავალი ადგილსამყოფელი ჯერ საბოლოოდ დაზუსტებული არ არის თუმცა, „სხვა უკეთესი ალტერნატივა არ გვაქვს“.

◎ წინ, საქართველოვ!

შესანიშნავი შვიდეული ლუხუმმა შეავსო

იაპონური ძიუდოს ქართველ ვარსკვლავებს არაერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი. ჩვენს ქვეყანას სპორტის ამ სახეობაში აქამდე მსოფლიოს ექვსი ჩემპიონი ჰყავდა — ამირან ტოტიკაშვილი, კობა კურტანიძე, თემურ ხუბულური, ირაკლი ცირეკიძე, ავთანდილ ჭრიკიშვილი და გურამ თუშიშვილი. და აი, ძიუდოს სამშობლოში ლუხუმ ჩხვიმიანმა შეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე „შადგომა“, რითაც წლეულს მან დუბლი შეასრულა — მინსკში მეორე ევროპულ თამაშებშიც მოიპოვა ოქროს მედალი, რაც ავტომატურად კონტინენტის ჩემპიონობასაც ნიშნავდა..

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლუხუმმა 7 ორთაბრძოლა მოიგო და ქართველი ქომაგები უსაზღვროდ გაახარა. შეჯიბრებაში იგი პირველივე წრიდან ჩაერთო: ჯერ ჰონკონგელ იუ ლონგ ლაის აჯობა იპონით, მერე მის კვალს დამატებით დროში ევროპული თამაშების ფინალისტი, ესპანელი ფრანსისკო გარიგოსი გაუყენა, ვისთანაც აქამდე ხუთი მარცხის წილ ერთი გამარჯვება ჰქონდა, აგრეთვე ბრაზილიელი ერიკ ტაკაბატაკე და უკრაინელი არტიომ ლესიუკი.

მეოთხედფინალში ლუხუმს მეტოქეობას ტაივანელი ტალანტი იუნ ვეი იანი უწევდა, რომელმაც მანამდე, ყველას გასაკვირად, ბრიტანელი ეშლი მაკკენზი, პირველ ნომრად განთესილი ევროპის ჩემპიონი რობერტ მშვიდობაძე (რუსეთი), ლუკა მხეიძე (საფრანგეთი) და დიიორბეკ ურუზბოევი (უზბეკეთი) დაჯაბნა. აზიელის სენსაციური სვლა ქართველმა ძიუდოისტმა შეაჩერა — ვაზარით დაამარცხა იგი.

ჩხვიმიანი ნახევარფინალში მასპინძელთა იმედს, მსოფლიოს შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორს, წლევანდელი ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად შერაცხულ იაპონელ რიუჯიუ ნაგაიამას დაუპირისპირდა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი დამატებით დროში კონტრშეტევაზე გამოიჭირა, ვაზარი აართვა და „ოქროს ქულით“ გაიმარჯვა. წარმატებით სახეგაბადრულმა მისკენ მიშვერილ კამერებს ჩასძახა — „შენ, შენ, ჩემო საქართველოვ“!

ქართველი ფალავანი ფინალში უზბეკ შარაფუდინ ლუტფილაევს შეხვდა, რომელმაც მანამდე სხვა ცნობილ ძიუდოისტებთან ერთად გზიდან მასპინძელთა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნაოჰისა ტაკატო ჩამოიშორა. მართალია, გადამწყვეტი ორთაბრძოლის პირველ ნახევარში მსაჯებმა ჩხვიმიანი ორჯერ გააფრთხილეს, მაგრამ გონგამდე კარგა ხნით ადრე ჩვენებური გააქტიურდა, უზბეკ მეტოქეს ჯერ ვაზარი აართვა, შემდეგ ბეჭებზეც დასცა იგი და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ბრინჯაოს მედლები ნაგაიამასა და ყაზახ იელდოს სმეტოვს ერგოთ.

გუშინ იაპონურ ტატამზე 3 ჩვენებური გავიდა, თუმცა, ისინი ასპარეზობას მალევე გამოეთიშნენ. 66 კილოში პირველ ნომრად განთესილმა ვაჟა მარგველაშვილმა მხოლოდ ეგვიპტელ აჰმედ აბელრაჰმანს აჯობა, მერე კი სამხრეთ-კორეელ ლიმ ჰვან კიმთან იპონით წააგო. ამავე წონაში ბაგრატ ნინიაშვილმა გვინეელი მუსა კაბა და ავსტრალიელი ნათან კაცი დაამარცხა, მაგრამ მონღოლ ბასხუუ იონდონპერენლეისთან ვერაფერს გახდა. მართალია, მსაჯებს ორჯერ გააფრთხილებინა აზიელი, თუმცა, დამატებით დროში თავად მიიღო სამი შიდო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

საქართველოს ქალთა ნაკრების ერთადერთი წევრი ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (52 კგ) ორჯერ გავიდა საჭიდაოდ: პირველ წრეში პოლონელ ალექსანდრა კალეტას ორი ვაზარით სძლია, ვიეტნამელ ტუი ნგუიენს კი ვერ გასცდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ნიჩბოსნობა

ამჯერად - „ბრინჯაო“

უნგრეთის ქალაქ სეგედში დამთავრდა ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი კანოესა და კაიაკში. 200 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი ქართველთაგან გამოირჩა 2017 წლის მსოფლიოს (რაჩიცე) მეორე და ევროპის (პლოვდივი) მესამე პრიზიორი, ბებერი კონტინენტის შარშანდელი (ბელგრადი) ჩემპიონი, 2019 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი ზაზა ნადირაძე.

მცხეთელმა ნიჩბოსანმა საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგო, ნახევარფინალში მეორე ადგილი დაიკავა, გადამწყვეტი პაექრობისას კი ფინიშის ხაზთან მესამე იყო (40.34) და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი, კონტინენტის ჩემპიონი, პირველი ევროპული თამაშების გამარჯვებული ჰენრიკას ჟუტაუტასი (ლიეტუვა, 38.36) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი არტსიომ კოზირი (ბელარუსი, 40.08) გავიდნენ.

საგულისხმოა, რომ ზაზა ნადირაძე, რომელიც 1993 წლის 2 სექტემბერს არის დაბადებული მცხეთაში, ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში მესამე ნიჩბოსანია, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა (1972 წელს მიუნხენში ფოთელმა ვიქტორ კრატასიუკმა ორადგილიანი ბაიდარათი ბელარუს ნიკოლაი გორბაჩოვთან ერთად ოქროს მედალი დაიმსახურა, მცხეთელი გიორგი ნასყიდაშვილი ნიჩბოსნურ სლალომში 31-ე იყო, ზაზამ კი 2016 წელს რიოში ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე მე-5 ადგილი დაიკავა), ხოლო კანოისტებში პირველია. იგი დედულეთში, სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში, მდინარე ტეხურაზე დაფრთიანდა.

ახლა ქართველი სპორტსმენი ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადებაზე გადაერთვება. საქმე ის არის, რომ ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ კანოისტი ვაჟებისთვის 200 მეტრი ოლიმპიური

თამაშების პროგრამიდან ამოიღო და მის ნაცვლად 1000 მეტრზე შეჯიბრება შეიტანა. გაისად საოლიმპიადედ 2 სალიცენზიო პაექრობა გაიმართება და ტოკიოს თამაშების საგზურები იქაც გათამაშდება.

სეგედის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბადრი ყაველაშვილმა (კაიაკი) და მარიამ ქერდიკაშვილმაც (კანოე) 200 მეტრზე, ოღონდ „ბ“ ფინალებში, იასპარეზეს და საბოლოოდ, შესაბამისად, მე-13 და მე-15 ადგილები დაიკავეს.

ლაშა დიდია

◎ ფორუმის წინ

ცივი შხაპი

მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელსაც 31 აგვისტოდან ჩინეთი უმასპინძლებს, თავმოყვარეობის შემლახველი მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო მისმა უპირველესმა ფავორიტმა — ლეგენდარული გრეგ პოპოვიჩის გაწვრთნილმა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა, რომელმაც 13(!)-წლიანი და 78(!)-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია 52-ათასიანი აუდიტორიის წინაშე მელბურნში ავსტრალიასთან წაგებით შეწყვიტა — 94:98.



ასე რომ, „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენლებმა ღირსეული რევანში აიღეს მრისხანე მეტოქესთან პირველი სპარინგის 16-ქულიანი დათმობის გამო.

მათი უკანახაზელი სნაიპერი პატი მილზი, რომელსაც, სხვათა შორის, „სან ანტონიოში“ სწორედ გრეგ პოპოვიჩი ავარჯიშებს, პარტნიორებს 30 ქულით შეეწია, ხოლო ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდათ უბერებელ ვეტერანებს ბოგუტსა (16 ქულა, 9 მოხსნა) და ინგლეშს (15 ქულა, 7 პასი).

რადგან ზემოთ კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენელთა ტრიუმფალური სვლა ვახსენეთ, დავაკონკრეტებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში „ოცნების გუნდი“ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 2008, 2012 და 2016 წლების ოლიმპიადებზე, 2007 წლის კოპა ამერიკასა და 2010 და 2014 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე.

დაბოლოს, ცისქვეშეთში გამგზავრების წინ ოკეანისგაღმელებს კოჭის ტრავმის გამო „ლეიკერსის“ ფორვარდი კაილ კუზმაც გამოაკლდა და მან საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

მცველები — დონოვან მიტჩელი („იუტა“), მარკუს სმარტი („ბოსტონი“), კემბა უოკერი („ბოსტონი“), დერეკ უაიტი („სან ანტონიო“).

ფორვარდები — ჰარისონ ბარნსი („საკრამენტო“), ჯეილენ ბრაუნი („ბოსტონი“), ჯო ჰარისი („ბრუკლინი“), კრის მიდლტონი („მილუოკი“), ჯეისონ ტეიტუმი („ბოსტონი“).

ცენტრები — მაილზ ტერნერი („ინდიანა“), მეისონ პლამლი („დენვერი“), ბრუკ ლოპესი („მილუოკი“).

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

რაგბის პელედ შერაცხილი ჯონა ლომუ, შეინ უილიამსი, ბრაიან ოდრისკოლი, ავგუსტინ ბიშო, ენდრიუ მერტენსი, სერჟ ბლანკო, ტიერი დესოტუარი...

მამუკა გორგოძე - სამეფო კამპანიაში

ეს ის თანავარსკვლავედია, რომელსაც აქამდე რვაჯერ გათამაშებული მსოფლიოს თასი არასოდეს მოუგია, მაგრამ სპორტის აღნიშნული სახეობის ლეგენდებად ითვლებიან.

საამაყოა, რომ დამდეგი იაპონური ფორუმის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე მსოფლიოს თასის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა უტიტულო მოთამაშეთა საუკეთესო 15-ეულში რვა ნომრის პოზიციაზე ქართული რაგბის ყველა დროის ნომერ პირველი წარმომადგენელი მამუკა გორგოძე დაასახელა, რომელიც მეორე დონის სარაგბო ქვეყნებიდან ერთადერთია, ვისაც ასეთი პატივი ხვდა წილად.

სხვათა შორის, მართალია „ბორჯღალოსანთა“ ლიდერმა სანაკრებო კარიერა უკვე დაასრულა, მაგრამ „ტულონში“ თამაშს ისევ განაგრძობს. და მერე როგორ!

საფრანგეთის ჩემპიონატის გასვლით სასტარტო შეხვედრაში „აჟენთან“ ჩვენებური პარტნიორებს ორი ლელოთი შეეწია და სოლიდური წვლილი შეიტანა თავისი კლუბის პირველ გამარჯვებაში — 44:25.

კობა კობახიძე

◎ ახალ ამპლუაში

არის „არისი“!

როგორც მოგეხსენებათ, ტრავმებით გატანჯულმა „ჯვაროსანმა“ ვიქტორ სანიკიძემ საკალათბურთო კარიერა, იძულებით, სალონიკის „არისში“ თამაშისას დაასრულა.

სასიამოვნოა, რომ ბერძნული გრანდის მესვეურებს საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის დამსახურება არ დავიწყნიათ და მას ელადური კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობა ანდეს.

შეგახსენებთ, რომ უწინ „მფრინავი ვიქტორი“ ფრანგული „დიჟონის“, ესპანური „სარაგოსასა“ და „ესტუდიანტესის“, იტალიური „ვირტუს ბოლონიასა“ და „მონტეპასკი სიენას“, რუსული „უნიქს ყაზანისა“ და თურქული „ანკარას“ სპორტულ ღირსებას იცავდა, ხოლო შარშანდელ სეზონში საქართველოს „ა“ ლიგაში მოასპარეზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდის პრეზიდენტი იყო, რომელიც ფინალში გავიდა და სუპერლიგამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა.

ვიტალი ჯაფარიძე

ალაზნის ველზე ძვ. წ. V-IV საუკუნეების სასახლის ნაშთები აღმოაჩინეს

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საერთშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალაზნის ველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუგაანში მუშაობა დაასრულა. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაახლოებით ძვ.წ. V-IV საუკუნეების სასახლის ნაშთები გამოვლინდა.



ალაზნის ველზე, ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა გუნდმა, გეოფიზიკური დაზვერვების შედეგად, დაახლოებით 1 ჰექტარზე განფენილი, სავარაუდოდ, ნახანძრალი ნაგებობის ნაშთები დააფიქსირა. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა რთული გეგმარების ნაგებობა – სასახლის ცენტრალური ექვსსვეტიანი დარბაზი. 1,5 მეტრი სისქის კედლები ალიზის აგურითაა ნაგები. დარბაზის ხის სვეტები კირქვის ზარისებრი ფორმის ბაზისებს ეყრდნობა. ასევე, გამოვლინდა ალიზის აგურით ნაშენები კვადრატული პოდიუმი, რომელზეც, სავარაუდოდ, ტახტი ან საკურთხეველი უნდა მდგარიყო.

ბაზისების ზარისებრი ფორმა, ისევე როგორც ამავე ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალი – სავარაუდოდ, კაპიტელის დეკორი, შესაძლებლობას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობა აქემენიდური ხანისაა და ქრისტეს შობამდე დაახლოებით V-IV საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. როგორც ცნობილია, ზარისებრი ბაზისების ფორმა შემუშავდა ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში აქემენიანთა სპარსეთის იმპერიის ცენტრებში – სუზასა და პერსეპოლისში და ლოტოსის ორნამენტიც აქემენიდური ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. ამავე პერიოდს, ძვ.წ. V საუკუნეს, განეკუთვნება ახლადაღმოჩენილი ნაგებობიდან სულ ორიოდე კილომეტრში 1994-1995 წლებში გათხრილი ე.წ. გუმბათის სასახლე, რომლის ზარისებრი ბაზისები საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმშია გამოფენილი.

ხსოვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის საშუალო სკოლის 1957-1958 წ.წ. კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული

ჯუმბერ ილიას ძე ვაშაყმაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის შვილებს, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

დარეჯან ჭანიშვილი და ტარიელ დოლიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯუმბერ ილიას ძე ვაშაყმაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

განცხადება

სს „ენერგოკავშირი“ ს/კ 200095887, რომელიც ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატია მუხიანის დასახლებაში, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს აცნობებს, რომ 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდები ბუნებრივი გაზის ტარიფი იქნება ერთი ლარი და ხუთი თეთრი, დღგ-ს ჩათვლით, ერთ კუბურ მეტრზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში კი ერთი ლარი და ათი თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.

◎ გამქრალი ცივილიზაციების ნაკვალევზე

ლემურების სამშობლო

ატლანტიდის შესახებ ყველას გვსმენია. მასზე იმდენი ითქვა და დაიწერა, იმდენი დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმი გადაიღეს, რომ კიდევ ერთხელ ყოველივეს გამეორება, ვფიქრობთ, ნაკლებად საინტერესო იქნებოდა. წარსულის იდუმალი ცივილიზაციების საკითხს რაც შეეხება, ამ მხრივ გაცილებით ნაკლებად ცნობილია კონტინენტის მუს ანუ პაციფიდის შესახებ, რომლის თაობაზე ლეგენდებს სათავე, თავისდაუნებურად, მაიას ტომის ინდიელებმა დაუდეს.

უფრო სწორად კი ეს იყო ფრანგი ღვთისმსახური, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი **შარლ-ეტიენ ბრასერ დე ბურბური,** რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ამერიკაში გაატარა, სადაც მისიონერული მოღვაწეობის პარალელურად ადგილობრივი ტომების კულტურას სწავლობდა. მექსიკაში მოგზაურობისას დე ბურბურმა მაიას ტომის რამდენიმე ძველისძველი ხელნაწერი შეიძინა, მე-16 საუკუნეში ევროპაში დაბრუნებულმა კი მათი გაშიფრვა და თარგმნა სცადა. ერთ-ერთ მათგანში იყო ცნობა „წყალქვეშ ჩაძირული ქვეყანა მუს შესახებ“. ამიტომ თავდაპირველად აბატს ეგონა, რომ საქმე ატლანტიდას ეხებოდა, მაგრამ შემდეგ ზოგიერთი მინიშნებით იგი მიხვდა, რომ ეს იდუმალი ქვეყანა მუ, არა ატლანტიდის, არამედ წყნარ ოკეანეში მდებარეობდა. ამ ჰიპოთეზას მხარი სხვა მეცნიერებმაც დაუჭირეს. იმ დროისთვის ოკეანეთის კუნძულებზე უამრავი სახის მცენარე და ცხოველი აღმოაჩინეს, რომელიც აზიისა და ორივე ამერიკის ფლორასა და ფაუნას ენათესავებოდა. ამდენად, წყნარ ოკეანეში ხმელეთის დიდი ნაწილის არსებობა კარგად ხსნიდა იმას, თუ როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ეს მცენარეები და ცხოველები კუნძულებზე. **ასე წარმოიშვა თეორია კონტინენტ მუს არსებობის თაობაზე, რომლის მეორე სახელწოდებაა პაციფიდი.** 1924 წელს ინგლისელმა ეთნოგრაფმა **ჯონ მ. ბრაუნმა** დაწერა წიგნი „წყნარი ოკეანის საიდუმლო“, რომელშიც კერძოდ, აცხადებდა, რომ პაციფიდისგან მხოლოდ ერთი ნაგლეჯი – პასექის კუნძული დარჩა, რომლის ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი ქვის უზარმაზარი ცხვირშუბლა ქანდაკებები სწორედ მათი შექმნილია.

მუს კონტინენტით სხვადასხვა მისტიკურ თუ ოკულტურ სწავლებათა მიმდევრებიც დაინტერესდნენ და თუ მანამდე ბევრი მათგანი კაცობრიობის აკვნად ატლანტიდას მიიჩნევდა, ახლა ეს ხალხი პაციფიდაზე „გადაერთო“, მაგრამ თუ ჩაძირული ატლანტიდის მიგნებას მრავალი ექსპედიცია ცდილობდა, წყნარ ოკეანეში მუს კონტინენტს თითქმის არავინ ეძებდა.

მოგზაურმა **ტურ ჰეიერდალმა** დაამტკიცა, რომ ძველ დროს სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის კუნძულების მცხოვრებთ შეეძლოთ წყნარი ოკეანის გადალახვა, მაშასადამე მცენარეთა თესლისა და წვრილ ცხოველთა გადაზიდვასაც შეძლებდნენ. ამდენად ფლორისა და ფაუნის მსგავსების ახსნა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ამით შეიძლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დედამიწაზე უდიდესი ოკეანის ფსკერი დღემდე, ფაქტობრივად, შეუსწავლელია, ამდენად სულაც არ არის გამორიცხული, რომ ოდესმე უძველესი ცივილიზაციის ნარჩენების ნახვა სწორედ იქ მოხერხდეს.

ჩაძირული ცივილიზაციებისგან განსხვავებით, რომელთა ამბები უხსოვარი დროიდან მოდის, **ლემურიის** კონტინენტის შესახებ ლაპარაკი პირველმა მე-19 საუკუნეში მეცნიერმა **ფილიპ ლათლი სქლეითერმა** დაიწყო. მან ექვსი ზოოლოგიური რეგიონის თეორია შეიმუშავა, რომელთაგან სიცოცხლე სხვებისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. მაგრამ ამ თეორიის ფარგლებში იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსთან **კუნძულ მადაგასკარს** ვერც ერთ რეგიონს ვერ აკუთვნებდა, მასზე მცხოვრები მრავალი ცხოველი, მათ შორის მაიმუნ ლემურთა მრავალი სახეობა, ერთიან თეორიაში არანაირად არ „ჯდებოდა“, სრულიად გაურკვეველი იყო, თუ საიდან გაჩნდნენ ისინი და რატომაა, რომ ფაუნის მათი მსგავსი წარმომადგენლები არც აფრიკაში მოიძებნება, არც აზიაში. სწორედ მაშინ იყო, რომ ფილიპ ლათლიმ ივარაუდა, რომ, შესაძლოა, მადაგასკარი დედამიწაზე ოდესღაც არსებული კონტინენტის გადარჩენილი ნაწილია, რომელიც უხსოვარ დროს წყალმა დაფარა.

ეს აზრი დიდად მოეწონათ ევოლუციის თეორიის მომხრეებს, რომელთა აზრით, ჩაძირულ კონტინენტზე იმ განამარხებულ ცხოველთა ნეშთების პოვნა იქნება შესაძლებელი, რომლებიც ევოლუციური ჯაჭვის „ამოვარდნილ“ რგოლებს წარმოადგენენ.

ამ კონტინენტის არსებობას კი ირიბად ადასტურებს ინდოეთის, ინდონეზიისა და იქაური კუნძულების მოსახლეობის ცალკეული ლეგენდები. გარდა ამისა, „უაჯ-ურის წყლებში“ ოდესღაც არსებული ქვეყნის შესახებ ცნობები, რომელიც შემდგომ „ტალღებში გაუჩინარდა“, ძველეგვიპტურ ფოლკლორშიც არის. უაჯ-ურს ეგვიპტელები წითელ ზღვასაც უწოდებდნენ და ინდოეთის ოკეანესაც, ინდოეთსა და ცეილონში კი იმის ამბებს ჰყვებიან, რომ ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთით იყო ქვეყანა, რომლის პოეტურ სკოლას თვით ღმერთი შივა თავკაცობდა. თავად მადაგასკარის მკვიდრნი კი უფრო არა აფრიკელებს, არამედ ინდონეზიელებს ჰგვანან, თანაც იქაური ლეგენდით, მათი ქვეყანა ოდესღაც გაცილებით დიდი იყო და შორს აღმოსავლეთით ვრცელდებოდა.

მოკლედ, მე-19 საუკუნეში მრავალი მეცნიერი იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ სადღაც ინდოეთის ოკეანის შუაგულში ჩაძირული კონტინენტია, რომელზეც აუარება ძვირფასი ეთნოგრაფიული არქეოლოგიური მასალის მოპოვება შეიძლება. ამ კონტინენტით – ლემურიათი, მრავალი ეზოთერული ორგანიზაცია იყო დაინტერესებული, მათ შორის **ელენე ბლავატსკაიას** მიერ დაარსებული თეოსოფიური საზოგადოება, რომლის წევრებს მიაჩნდათ, რომ **ატლანტიდისა და ლემურიის მცხოვრებნი დედამიწის ისტორიაში ყველაზე მაღალგანვითარებული ცივილიზაციების წარმომადგენლები იყვნენ.**

თუმცა ამჟამად მეცნიერები უფრო იმ თეორიას ემხრობიან, რომ აღწერილი მითიურ კონტინენტად მაინც ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი უნდა მივიჩნიოთ, მადაგასკარის ფლორისა და ფაუნის განსხვავების მიზეზი კი ისაა, რომ აფრიკის კონტინენტს ის ძალიან დიდი ხნის წინათ მოსცილდა, ამიტომაც სიცოცხლე იქ თავისი გზით ვითარდებოდა.

არადა, ვინ იცის, იქნებ, ძველ ლეგენდებში მაინცაა ჭეშმარიტების მარცვალი?

ვინ იცის...

მოამზადა
ოთარ მერიშვილმა

მაყვალა ქასრაშვილი:

დომინგოს ხასიათში ძალადობის მისხალიც არ არის!

თანამედროვე საოპერო ხელოვნების ერთ-ერთ უდიდეს მომღერალს, 78 წლის ესპანელ პლასიდო დომინგოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე კარგა ხანია აგორებულ სკანდალში, ეგრეთ წოდებულ, ხარასმენტში, ანუ სექსუალურ შევიწროებაში ატეხილი საყოველთაო ვნებათაღელვის მძლავრმა ტალღამ გადაუარა.



ერთბაშად ცხრა ქალმა საჯაროდ განაცხადა, რომ 1980-იან წლებში მსახიობი მათგან ინტიმური ურთიერთობების დამყარებას მოითხოვდა, რის სანაცვლოდ სასურველ როლებს სთავაზობდა. იმ შემთხვევაში კი, თუკი ეს ქალბატონები უარს ეტყოდნენ, „პროფესიულად სჯიდა“. არადა, გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ხარასმენტის არც ერთმა მსხვერპლმა არც საკუთარი ვინაობის გამხელა ისურვა და პლასიდო დომინგოს ვითომდა წარსულში სექსუალური შევიწროების ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ დიდებულ პირენეელ მომღერალთან დაკავშირებული ამ ბინძური სკანდალის აგორებისთანავე, მსოფლიო საოპერო ხელოვნების არაერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ კატეგორიულად გაილაშქრა პლასიდო დომინგოს მიმართ სამარცხვინო ინსინუაციების წინააღმდეგ და ხმა აიმაღლა დამსახურებული მეტრის დასაცავად. მათ შორისაა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის სოლისტი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი **მაყვალა ქასრაშვილი,** რომელიც წლების მანძილზე პირადად იცნობს მსოფლიო ტენორს.

— პლასიდო დომინგოს ბევრჯერ პირადად შევხვედრივარ, მის შესახებ ჩემი სახელგანთქმული მეგობრისგან ელენა ობრაზცოვასგან, აგრეთვე სხვა კოლეგებისგანაც არაერთხელ მსმენია და მსგავს რაღაცებზე არასდროს მინიშნებაც კი არ გამიგონია, — აცხადებს მაყვალა ქასრაშვილი. — თუკი მას ვინმესთან ინტიმური სიახლოვე ჰქონდა, ეს, ვფიქრობ, ურთიერთთანხმობით ხდებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი — პლასიდო ძალიან ბევრ ქალს უყვარდა. ის ხომ მსოფლიო ოპერის სექს-სიმბოლოც იყო: იმის გარდა, რომ ის უნიჭიერესი მომღერალია, ფიზიკურადაც ძალიან მომხიბლავი, ლამაზი მამაკაცია. თანაც ბევრი მსმენია იმის შესახებ, რომ არაერთი ახალგაზრდა მომღერალი ქალი მზად იყო, მასთან კავშირი დაემყარებინა და დიდ სცენაზე ამ გზით მოხვედრილიყო. ისინი ოცნებობდნენ ამაზე — მაშ, რომელ ხარასმენტზეა ლაპარაკი? მის ხასიათში ძალადობის მისხალიც არ არის, იგი კეთილშობილების განსახიერებაა! აუცილებელია იმის აღნიშვნაც კი, რომ წლების მანძილზე იგი მრავალ ახალგაზრდა ხელოვანს სრულიად უანგაროდ უწევდა დახმარებას. ვფიქრობ, რომ პატივისა და ღირსების შელახვის გამო მან სასამართლოში სარჩელი უნდა შეიტანოს!

ნინო ალექსანდრია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

აფრიკული ხანძარი ამაზონთან რა შედარებაა

მოქალაქეებისა და პოლიტიკოსების ყურადღება, ამ ეტაპზე, ამაზონის ჯუნგლებში არსებულ ხანძრებს უკავშირდება, თუმცა NASA-ს მიერ გავრცელებული ახალი რუკის მიხედვით, აფრიკის კონტინენტზე ამაზონის ჯუნგლებთან შედარებით, თითქმის 5-ჯერ მეტი ხანძრის კერა მძვინვარებს.

უკანასკნელი ორი დღის მონაცემებით, ცენტრალური აფრიკის რეგიონში, ანგოლაში 6902, ხოლო კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 3395 ხანძრის კერაა. შედარებისთვის, ამ ეტაპზე, ამაზონის ჯუნგლებში 2127 ხანძრის კერა ფიქსირდება.

ინდონეზია ახალი დედაქალაქის აშენებას გეგმავს

ინდონეზიის პრეზიდენტის ჯოკო ვიდოტოს განცხადებით, ხელისუფლება გეგმავს, მჭიდროდ დასახლებული და გადატვირთული ჯაკარტიდან დედაქალაქი ბორნეოს კუნძულზე გადაიტანოს. ინფორმაციას ავრცელებს Deutsche Welle.

ახალი დედაქალაქი ბორნეოს კუნძულის აღმოსავლეთით, კალიმანტანის პროვინციაში გაშენდება, ქალაქ სამარინდასა და საპორტო ქალაქ ბალიკპაპანს შორის.

„ეს არის სტრატეგიული ადგილმდებარეობა ინდონეზიის ცენტრში, მზარდი ურბანული ზონის მახლობლად“, — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა.

მისივე განცხადებით ახალი დედაქალაქის მშენებლობა 33 მლრდ დოლარი დაჯდება და 2024 წელს დაიწყება.

პროექტის დაფინანსება სახელმწიფო სახსრებითა და კერძო ინვესტიციებით მოხდება.

ჯაკარტა ინდონეზიის დედაქალაქი და ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია. იგი ინდონეზიის მთავარი საპორტო ქალაქი და კომერციული ცენტრია.

2011 წლის მონაცემებით ქალაქში ცხოვრობს 10 187 595 ადამიანი.

ბრაზილიის პრეზიდენტმა მაკრონი გამოლანძღა

სამწუხარო, რომ ბრაზილიელი პოლიტიკოსები საკუთარ თავს სხვა სახელმწიფოს ლიდერის შეურაცხყოფის უფლებას აძლევენ. ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა დიდი შვიდეულის სამიტის ფარგლებში პრესკონფერენციაზე ბრაზილიის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მასზე თავდასხმების კომენტირებისას განაცხადა.

გასულ კვირას ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟაირ ბოლსონარუმ, მაკრონი კოლონიალურ მენტალობაში და ამაზონის ტყის ხანძრების პოლიტიკური მიზნებისთვს გამოყენებაში დაადანაშაულა. ამის მიზეზი მაკრონის განცხადება გახდა, სადაც აღნიშნა, რომ ბიარიცში G7-ის სამიტზე ამაზონის ტყის ხანძრების საკითხს განიხილავდნენ.

მაკრონმა ბოლსონარუ კლიმატის შესახებ ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა და ევროკავშირსა და სამხრეთამერიკულ ბლოკს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდა.

ბოსლონარუმ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ირონიულ ფოტოკოლაჟზე, რომელშიც აღბეჭდილი იყო ბრიჯიტ მაკრონი, დადებითი კომენტარი დატოვა.

ბრაზილიის სოფლის მურნეობის მინისტრმა აბრაამ ვაინტრაუბმა კი მიკრობლოგ Twitter-ში მაკრონს „ჭკუასუსტი ოპორტუნისტი“ უწოდა, რომელიც სოფლის მეურნეობაში ფრანგი ლობების მხარდაჭერას ეძებს.

„რაც შეეხება ბატონ ბოსლონარუსა და მის მინისტრებს — ამაზე განსაკუთრებულ კომენტარს არ გავაკეთებ. პირადად პატივს ვცემ ყველა სახელმწიფოს ლიდერს, რომელიც ხალხის მიერაა არჩეული, პატივს ვცემ ადამიანებს და ვფიქრობ, რომ ეს არის მნიშვნელოვანი“, — განაცხადა მაკრონმა.

„გუშინ მან კარგ იდეად მიიჩნია ის, რომ მისმა მინისტრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს სხვა სახელმწიფოს ლიდერს... და მან (ბოლსონარუმ) თავს უფლება მისცა, დაეწერა უპატივცემულო კომენტარები ჩემი ცოლის მისამართით. რა უნდა ვთქვა? ეს ძალიან სამწუხაროა. სამწუხარო, პირველ რიგში, ბრაზილიისა და მისი ხალხისთვის“, — დასძინა მაკრონმა.

მაკრონმა აღნიშნა, რომ დიდ პატივს სცემს ბრაზილიელ ხალხს და ისინი იმსახურებდნენ ისეთ პრეზიდენტს, რომლის საქციელიც უმაღლესი დონის იქნება.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 28 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9279; ევრო - 3.2365;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5764;
100 რუბლი - 4.4581; თურქული ლირა - 0.5072;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7243;
1000 სომხური დრამი - 6.1536.

ამინდი 27 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +29
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +31
თბილისი: ღამე +20, დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge